

K 212746  
3

გირ ძავალია



კანონულთა  
მომყვავლეობის  
უწლოდობა



ମେ. ଜୁଦାଶିଳ୍ପୀଙ୍କାରୀଙ୍କ ସାହେଲଙ୍କିଳିର ନବିନ୍ଦିଲିଙ୍କର ସାହେଲମିଟ୍ରିନ୍ଡି

ଶର୍ମିତାର୍ଥିରୀଠି



ଘର ଶ୍ରୀଜନନ୍ଦ

ପ୍ରକାଶକ ପରିଷଦ ପରିଷଦ ପରିଷଦ ପରିଷଦ

(ଏଇପରିଷଦିର ପ୍ରକାଶକ)

ନବିନ୍ଦିଲିଙ୍କର ଶର୍ମିତାର୍ଥିରୀଠିର ଗାନ୍ଧିଆଭିନନ୍ଦିତ

ନବିନ୍ଦିଲିଙ୍କ

1990

26.68/

591.5

J 341




ಕರ್ನಾಟಕ ಸರ್ಕಾರ  
ಕರ್ನಾಟಕ ಮಹಿಳೆಗಳ ಮತ್ತು ಪ್ರವೃತ್ತಿಗಳ ವಿಭಾಗ

ಎಶ್ರಂಥಿ ಹಾಸ್ತಯಾನಿಕ ನಾಗರಿಕ ಮತ್ತು ಸಾಹಿತ್ಯದ ವಿಭಾಗ  
ಧಿಮಣಗಳಿಂದ ಅಭಿವೃದ್ಧಿಗೆ ಸಹಾಯ ಮಾಡಲು ದೊರೆತ ಸಾರ್ಥಕ ವಿಷಯದ  
ಒಂದು ಗ್ರಂಥ ಇತ್ತು. ಇದನ್ನು „ಪರಿಸ್ಥಿತಿ ಅಧಿಕಾರಿಗಳ ಮತ್ತು ಕಾರ್ಯಕರ್ತೆಗಳ ಲಭ್ಯತೆ  
ಉದ್ದೇಶ ಮಾಡಿ“ ಎಂದು ಪ್ರತಿಬಿಂಬಿಸಲಾಗಿದೆ. ಈ ಗ್ರಂಥ ಕಾರ್ಯಕರ್ತೆಗಳ ವಿಚಾರ  
ಮತ್ತು ವಿಜ್ಞಾನ ವಿಭಾಗದ ಸಾರ್ಥಕ ವಿಷಯದ ವಿಭಾಗದ ಸಹಾಯ ಮಾಡಲು  
ಅನುಭಾವ ಇರುತ್ತಿದ್ದು.

ರೋಡಾಪೆಟ್‌ರಿ - ಸಾರ್ವಜನಿಕ ವಿವಿಧ ಸಂಸ್ಥೆಗಳಿಂದ ತಯಾರಿ - ಕಾರ್ಯಕ್ರಮಗಳಿಗೆ ಮತ್ತು ವಿಭಾಗ  
ದಿನಾಂಕಗಳಿಗೆ ಮತ್ತು ಮಾನವಾಧಿಕಾರಿಗಳಿಗೆ ವಿಶೇಷ ವಿಭಾಗ.

ರೋಡಾಪೆಟ್‌ರಿ - ಸಾರ್ವಜನಿಕ ವಿವಿಧ ಸಂಸ್ಥೆಗಳಿಂದ ತಯಾರಿ - ಕಾರ್ಯಕ್ರಮಗಳಿಗೆ ಮತ್ತು ವಿಭಾಗ  
ದಿನಾಂಕಗಳಿಗೆ ಮತ್ತು ಮಾನವಾಧಿಕಾರಿಗಳಿಗೆ ವಿಶೇಷ ವಿಭಾಗ.



⑥ ತಳಿಗಳಿಂದ ಸಾಮಾನ್ಯ ವಿಷಯಗಳಿಗೆ ವಿಜ್ಞಾನ ವಿಭಾಗ, 1990

K 19070000000  
M 608(06)-90

ಸರ್ಕಾರಿ ಮತ್ತು ಪ್ರವೃತ್ತಿಗಳ ವಿಭಾಗ  
ಕರ್ನಾಟಕ ಮಹಿಳೆಗಳ ಮತ್ತು ಪ್ರವೃತ್ತಿಗಳ ವಿಭಾಗ  
ಕರ್ನಾಟಕ ಸರ್ಕಾರ



ეკოლოგიის კურსი იგ-ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სამართლებრივი უნივერსიტეტში მრავალი წელია იკითხება, მაგრამ სპეციალური მკოლოგიური სწავლება დაიწყო 1983 წლიდან, როდესაც ბიოლოგიის ფაკულტეტზე შეიქმნა ეკოლოგიისა და პიდრობიოლოგიის კათედრა, რომელიც ხელმძღვანელობს სპეციალიზაციის „ეკოლოგია და გარემოს დაცვა“.

კათედრისა და სპეციალიზაციის შემდეგ ფაკულტეტზე რიგი ახალი დისკიპლინა იქნა შემოღებული, რომლებიც ძირითადად ასახავენ თანამედროვე ბიოეკოლოგიის მიმართულებებს. მათი ათვისება, შესაბამისი სახელმძღვანელოების უქრნლობის გამო, გაძლიერებულია. ამიტომ სტუდენტები იძულებული არიან ისაბრგებლონ რუსულენოვანი შრომებით, რომელთა დიდი ნაწილი არ არის გათვალისწინებული სასწავლებლებისათვის.

„ წინამდებარე კურსი შედგენილია „ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის“ ზოგადსაფაკულტეტო დისკიპლინის იმ მონაკვეთის მიზედცით, რომელსაც ავტორი წლების მანძილზე კითხულობს. ცვალაუდობთ, რომ იგი დასმარებას გაუწევს სტუდენტებს ისეთი საგნების ათვისებაშიც, როგორცაა „ცხოველთა ეკოლოგია“, „პოპულაციური ეკოლოგია“ და ა.შ.

აცტორი იზიარებს ეკოლოგიის განვითარებას, შემოთავაზებულს ე.პეტრილის მიერ დაახლოებით I20 წლის წინათა ეკოლოგია – მცუნიერების დარგია, რომელიც შეიისწავლის ორგანიზმთა დამკიდებულებას გარემო ფაქტორებთან. მაგრამ ბოლო წლებში განვითარებული სწავლება პოპულაციების შესახებ ამ განმარტებას მეტ კონკრეტულობას ანიჭებს. საქმე ისაა, რომ გარემოსთან შეგუება ხორციელდება არა მარტო ცალკეული ორგანიზმების, არამედ მათი ერთობლიობების – პოპულაციების – ფონზე, ხოლო გარემო პირობებში, არაუცხალი (აბიოტური) ფაქტორების გარდა, იგულისხმება სხვადასხვა მცენარის, ცხოველის და მიკროორგანიზმის ასეთიც ერთობლიობები.

აქედან გამომდინარე, გასაგები უნდა იყოს პოპულაციური კვლევების მიზანები; ისინი საშუალებას იძულევიან სწორად გავიგოთ ორგანიზმების გარემოსთან შეგუების გზები და დავადგინოთ მათი როლი იმ

ბიოცენოზში, რომლის წევრებიც არიან.

ଶ୍ରୀ ପତ୍ନେନ୍ଦ୍ର ପାତ୍ର

ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ნაშრომში ყველა საჭირო თხი ერთნაირი სისრულით არაა ასახული; იგივე იძებმის გარეულობის მიზანი გალიოზებისა და საილუსტრაციო მასალის შესახებ. ვფიქრობ, რომ ამ ხარვეზის ნაწილობრივ მაიცუ შეავსებს ლიტერატურის სია, რომელიც წიგნს ახლოს.

„ეკოლოგიის“ კურსზე მუშაობისას მრავალმხრივ დახმარებას ვიღებთ და კოლეგებისაგან. პირველ რიგში, ეს ეხება თსუ ეკოლოგია-ჰიდრობიოლოგის ცალიერის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ბიოლ. მეცნ. კურსიდან და თარხნიშვილს, რომლის თანადგომით მინშვერლოვნად გაფართოვდა წიგნის V თავი; მასევ ეკუთხის არაერთი სასარგებლო ჩრდება დანარჩენი თავების მიმართაც. ხელნაწერის ცალკეული ნაწილები წაიკითხეს და საგულისხმო შენიშვნები მოტკეს პიოლ. მეცნ. კურსიდანმა პროფ. რ. ურულანიამ, ჟეცნ. მეცნ. კურსიდანმა თოფ. რ. ხომერიკმა. მეტყველ საქმიანი ჩჩილა-და-რიგება მივიღე წიგნის ჩედაქტორისაგან - საქ. სსრ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტისაგან პროფ. ი. ერიადასაგან, რომელიც გულდასმით გაეცნო ხელნაწერის საბოლოო ვარიანტს. ტექსტის გაფორმებაში დახმარება გამოიწია რ. გოლოზმანმა. უსარგებლობ შემთხვევით, რათა ჩამოთვლილ პირებს გულითადი მართლობა გადავისტავო.




I. პოპულაცია, როგორც სახეობის არსებობის ფუნქციები

კოლექტიმდე დიდი ხნით აღრე ცნობილი იყო, რომ სახეობები თავისი არეალის ფარგლებში თანაბრად არ არიან განაწილებული. ჩვეულებრივ, მათი წევრები ცოტად თუ ბევრად გამიჯნულ დაჯგუფებებს ქმნიან. მაგრამ თუ სახეობა უწყვეტი გაცრცელებით ხასიათდება, ორგანიზმთა დასახლების სიმჭიდროვე არაერთგვაროვანია – მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიები შედარებით სუსტად დასახლებულ ტერიტორიებს ცვლიან. ინდივიდთა მეტნა-კლებად იზოლირებულ ერთობლიობებს პოპულაციები ქვიათ.

როგორი ერთგვაროვანია არ უნდა იყოს სახეობის არეალი, მასში ცერ მოიძებნება თუნდაც თრი წერტილი, აბსოლუტურად იდენტური საბაზებო პირობებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ბუნებრივი გადარჩევის მოქმედება სახეობის არეალის ფარგლებში ყოველთვის განსხვავებულია. რადგან პოპულაციები წარმოადგენენ ბუნებრივი გადარჩევის ხანგრძლივი მოქმედების შედეგს, თითოეული მათგანი რიგი ნიშნების მიხედვით მეტნაკლებად განსხვავდება დანარჩენებისაგან. თანამედროვე შეხედულებით, პოპულაცია სახეობის არსებობის ძირითადი უორმაა, ინდივიდთა ერთობლიობა, რომელსაც გარკვეული ტერიტორია უკავია და აქცს უნარი იარსებოს განუსაზღვრელად ხანგრძლივი დროის მანძილზე. მისი წევრები მეტ-ნაკლები პან-ზიქსით ხასიათდებიან და, როგორც წესი, სიცრცობრივად იზოლირებული არიან იმავე სახეობის დანარჩენი პოპულაციებისაგან.

სახეობა პოპულაციების სახით არსებობს. ნებისმიერ ბიუროზე იგი პოპულაციითაც წარმოდგენილი. ამ ცენტრალურისით პოპულაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ბიურონოზის ნაწილი, ბიურონზი კი – როგორც სხვადასხვა სახეობის პოპულაციათა ერთობლიობა.

ნებისმიერი ორგანიზმი, მეტადრე თუ იგი სქესობრივი გამრავლებით ხასიათდება, ამა თუ იმ პოპულაციის წევრია. მისი ხანგრძლივი არსებო-



ნახ. I. ვიწროქალა მემინდებულის პოპულაციები აღმოსავლეთ  
ტიან-შანზე; ზიმინას (1964) მიხედვით

ჩა პოპულაციის გარეშე ძნელია, ხშირად კი შეუძლებელი. პოპულაციის წილებს მრავალმხრივი კავშირები აერთიანებს, ამის გამო თვით პოპულაცია ერთიან სისტემას წარმოადგენს.


სხვადასხვად სახეობის პოპულაციური სტრუქტურა განსხვავდებულია. ზოგი სახეობა მხოლოდ ერთი ან რამდენიმე პოპულაციითაა წარმოადგინილი (ვიწრო ენდემები, ან რელიქ्वები), სხვები = მრავალ ასეულ პოპულაციის მოცულენ (ფართოდ გავრცელებული ეპირიბიონტული ფორმები). მაგალითად, მოლუსკი *Achatinella mustelina* ჰავაის კუნძულებზე მრავალ იზო-ლინებულ პოპულაციას ქმნის (შმალგაუზენი, 1969). იგივე იზომის ტყის თავისი შესახებ კაცკასიაში (შიდლოცსკი, 1962). ვიწროქალა მემინდებული *Stenocranus gregalis* აღმოსავლეთ ტიან-შანის ერთ-ერთ მდებარე 30-მდე პოპულაციითაა წარმოადგენილი (ზიმინა, 1964; ნახ. I),



ნახ. 2. ციმბირისეული თხის პოპულაციები ალტაიზე;  
ჰეპტნერის და სხვ. (1961) მიხედვით

ციმბირისეული თხის (*Carpa sibirica*) პოპულაციათა რაოდენობა მთელ ალტაიზე ორ ათეულს არ აღმატება (ჰეპტნერი და სხვ., 1961; ნახ. 2). მგრევის (1931) მიხედვით, 30-იანი წლებისათვის ყარსაღი (*Maztes zibellina*) სსრკ-ს ტერიტორიაზე 15-20 პოპულაციით იყო ცნობილი (ნახ. 3). ამავე დროს, ჭიაყელა (*Dendrobaena octaedra*) შუა რუსეთის ფიჭვნარ ტყეებში თითქმის ერთიანი გაცვალებით ხასიათდება და ფაეტონურად ერთ დიდ პოპულაციას ქმნის.


ცხოველთა სისტემატიკური მდგომარეობისა და ტერიტორიის სპეციალურის მიხედვით, პოპულაციები ერთმანეთისაგან სხვადასხვადებარად არიან გამოჯუნული. მცენარეების, ისევე როგორც პასიური ცხოველების (მაგალითად, მოლუსკების) პოპულაციათა საზღვრები ხშირ შემთხვევაში მკაფიოდა. ასე, მოლუსკი *Achatinella mustelinat* პოპულაციები კუნძულ თახუს მოებში კარგად არიან ერთმანეთისაგან გამოჯუნული (შმალგაუზენი, 1969). რაც შეეხება შედარებით აქტიურ ცხოველებს და ისეთ ორგანიზმებს, რომლებიც როცხოვნობის შესაბამისად, არეალის მცველრი მერყეობით ხასიათდებიან (კალიასებრნი, ზოგიერთი მღრღნელი), მათ პოპულა-



ნახ.3. ყარსაღის არეალი სსრკ-ს ტერიტორიაზე 30-იანი  
წლებისათვის; ოგნეცის (1931) მიხედვით

ციცების საზღვრები შესაძლოა მცველობად არ ჰქონდეთ გამოხატული.

პოპულაციების საზღვრებთან მჭიდროდაა დაკავშირებული მათი სქე-  
სობრივი იზოლაცია. როგორც წესი, ერთსა და იმავე პოპულაციაში ინდი-  
ვიდების შეჯვარება თავისუფალია. სხვადასხვა პოპულაციის წევრთა შე-



ნახ.4. ციცერი კაშკაშის გავრცელება ევრაზიაში;  
ჰეპტნერის (1936) მიხედვით

საძლებლობა, სიცრუობრივი გათიშვის გამო, შემცირებულია. თანაც, რაც  
უფრო სრულყოფილია ტერიტორიული იზოლაცია, მით უფრო ეფექტურია სქე-  
სობრივი.


პოპულაციების დახასიათებისას არ შეიძლება ხაზი არ გაესგას  
მათ როლს ეცოლულის პროცესში. როგორი ერთგვაროვანიც არ უნდა იყოს  
პოპულაცია ფენოტიპურად, მუტაციების გამო გენეტიკური თვალსწირისში  
იგი ყოველთვის ჰეტეროგენულია. ეს განაპირობებს პოპულაციის ეკოლოგი-  
ურ პლასტიკურობას, ქმნის მემკვიდრული ცვალებადობის რეზისუს და  
იცავს მის მემკვიდრულ საფუძველს გაღარიბებისაგან.

გარემო პირობების შედარებით სუსტი ზემოქმედების შემთხვევაში  
პოპულაციის გენეტიკური სტრუქტურა რიგი თაობების მანძილზე შესაძლოა  
სტაცისტიკურად შედარებით უცვლელი დარჩეს. მაგრამ თუ პოპულაცია გა-  
ნცუდის გარემოს ამა თუ იმ ფაქტორის ინტენსიურ და ხანგრძლივ ზემოქ-  
მედებას, მისი გენოფონდი შეუცვლება. გასაგებია, რომ ამგვარი ცვლი-  
ლებების გარეშე შეუძლებელია ეცოლულის პროცესის დაწყება. იმისათვის,  
რომ პოპულაციაში განვითარდეს შეუძლება მოვლენები, რომლებიც მას  
ეცოლული სარჩიელზე გაიყვანენ, აუცილებელია რიგი ფაქტორებისა -  
პოპულაციური ტალღები, იზოლაცია, ბუნებრივი გადარჩევის შემდგომი მო-  
ქმედება და ა.შ. მათგან პირველი განაპირობებს სხვადასხვა გენოტიპი-  
სა და მუტაციის კონცენტრაციის შეცვლას და, საბოლოო ჯამში, პოპულა-  
ციის გენოფონდის შემდგომ მკვეთრ ცვლილებას. მეორე იწვევს პოპულა-  
ციებს შორის გენეტიკურ განსხვავებათა განმტკიცებას, ხოლო მესამე,  
როგორც ეცოლულის ძირითადი და წარმოართველი ფაქტორი, განაპირობებს  
წონასწორობის შენარჩუნებას ორგანიზმებსა და გარემოს შორის, ანუ  
ადაპტაციების ჩამოყალიბებას და მათ განვითარებას.

## 2. სახეობის არეალი და პოპულაციების

სიცრცობრივი განაწილება

სახეობის არეალის ფარგლებში პოპულაციების სიცრცობრივი განაწი-  
ლება ნაირგვარია. უკიდურეს მოვლენებად უნდა მივიჩნიოთ, ერთი მხრივ,  
ე.წ. გეოგრაფიული იზოლატები, ანუ სახეობის დანარჩენი წარმომადგენ-



ნახ. 5. ხლაკუნას გაცრცელება პალეარქტიკული;  
ჰემინერის (1936) მიხედვით

ლიმისაგან მაქსიმალურად იზოლირებული ერთეული პოპულაციები და, მეორე ჰარიც, უწყვეტი რიგები, რომელიც ერთმანეთთან მეტნაკლებად დაკავშირებული პოპულაციები ქმნიან. ამ უკიდურეს მოცლენებს შორის მრავალი გარდამავალი საფეხურია.



ნახ. 6. თოვლის მემინდორის არეალი ალპებში;  
მორის (1930) მიხედვით

გეოგრაფიული იზოლატები სუსტადაა შესწავლილი. ეს იმედის როგორც მცენარეთა, ისე ცხოველთა (განსაკუთრებით უხერხემლოთა) მრავალი ჯგუფის შესახებ. მაგრამ ცალკეული ტაქსონის ფარგლებში ამ შერიც საინტე-


სესო მონაცემებით დაგროვილი. ასე, მაგალითად, კისტმა (1961) დაწყებული გინა, რომ აცსტრალიაში გაცრცელებული 425 სახეობის ფრინველი 211-226 იზოლატს ქვენის; მაირის (1968) მიხედვით, კუნძულებზე ჩამონაცვლილი იზოლატების რაცხვი კონტინენტებთან შედარებით რამდენჯერმეტებით დამტკიცილია.

არსებული მონაცემებით, ცისფერი კაჟუაში (Cyanopica cyanata) ეცრაზიარი სამი გეოგრაფიული იზოლატითაა წარმოდგენილი (ნახ. 4), ხოლო ხღაცუნა (Misgurnus fossilis) იგივე ტირიტორიაზე – ორი გზოლირებული პოპულაციით (პეპტნერი, 1936; ნახ. 5). 30-იანი წლებისათვის აღმოჩენის მოვლის მემინდვრია (Chionomus nivalis) რამდენიმე იზოლირებული პოპულაციით იყო ცნობილი (მორი, 1930; ნახ. 6).

შეიძლო ქვეყნებში გეოგრაფიული იზოლატების რაოდენობა მნიშვნელოვნად მეტია ერთგვაროვანი რელიფის მქონე ტირიტორიებთან შედარებით. მაგალითად, პრომეთესეული მემინდვრია (Prometheomus schaphoehniicus) ამიერკავკასიაში ითხო იზოლირებული პოპულაციითაა წარმოდგენილი; მათგან ერთი დიდი კაცკასიონის დასაცლეთ ნაწილში ბინაფრობები, მეორე – მდინარე არაგვის სათავეებთან, დანარჩენები კი მესხეთისა და არსიანის ქედებზე. შელკოვნიკოვისეული მემინდვრიის (Pitymys schelcovnikovi) ერთადერთი პოპულაცია-იზოლატი ჯერჯერობით თაღიშის შეეცვია ადმონიუნილი (შიდლოცკი, 1970; ნახ. 7).

სახეობა შედარებით ვრცელ და ერთგვაროვან ტირიტორიაზე თუ პი-ნატრობს, იგი შესაძლოა პოპულაციების მეტნაკლებად უწყვეტ რიგს ქმნიდეს. ასეთ რიგებში პოპულაციებს შორის იზოლაცია არაა სრული, ამიტომ ისინი შედარებით უმოკიდესულდ აღწევენ მეზობელ პოპულაციებს. პოპულაციურ უწყვეტ რიგს, ანუ კონტინუუმს ჩვეულებრივ ცხვდებით ერთსა და იმავე ბუნებრივ ზონაში. მაგრამ თუ სახეობა ეცრიზონალურია, მსგავს მოცლენას აქვთ შეიძლება ჰერნდეს ადგილი.

ლიტერატურაში ცხოველთა არაერთი პოპულაციური რიგია დახასიათებული. ალპატომა 1934 წელს ეს მოცლენა შინაური ფუტკრისაოვის აღწერა,



ნახ. 7. პრომეთესეული და შელკოვნიკოვისეული  
მემინდვრების არეალი კავკასიაში;  
შიდლოვსკის (1970) მიხედვით

არცოლიძი (1948) - *Discotterex comatus*-ს მაგალიზე. პოპულაციების უწყვეტი რიგები აღწერილი აქვთ ტერენტიევს (1965) მეღასატვის (*Salpes sulpes*) - სსრკ-ს ეცრობულ ნაწილში, ბერეგოვოის (1967) თეთრ (*Motacilla alba*) და ყვითელ (*M. flava*) ბოლოქანებისათვის - პალეარქტიკული და ა.შ.

თარზნიშვილის მონაცემებით ბაყაყები, გომბეშოები და ვასაკები საქართველოს სხვადასხვა ნაწილში განსხვავებული სიცრცობრივი სტრუქტურით ხასიათდებიან. აღმოსავლეთ საქართველოში ამფიბიები მრავლდებიან მხოლოდ იმ წყალსატევებში, რომელიც არ ურებიან მთელი წლის მანძილზე. თითოეულ წყალსატევში ბინადრობს რამდენიმე ათეულიდან რამდენიმე ათასამდე ცხოველი, რომლებიც ერთმანეთისაგან კარგად არიან იზოლირებული. საწინააღმდეგო სურათია დასავლეთ საქართველოში. აქ მსხვილ ტბორებს შორის მრავალი მცირე გუბეა, სადაც ხშირი წვიმების გამო ამფიბიების გამრავლება რეგულარულად ხდება. მართლიან გუბეების ნაწილი შრება, მაგრამ დარჩენილი გუბეების ხარჯზე ცხოველთა დასახუბები

მუდმივ კონტაქტში იმყოფებიან.

პოპულაციების სიცრცობრიც განაწილებასთან მშენდრობაა დაკავშირებული მათი მორფოლოგიური და ბიო-ეკოლოგიური თავისებურებები, სახეობობრი, გეოგრაფიული იზოლაციები სხვადასხვაცვარად განსხვავდებიან სახეობის დანარჩენი პოპულაციებისაგან; ეს დამოკიდებულია იზოლაციის ხანგრძლივობაზე, ხარისხზე და ზოგიერთ სხვა ფაქტორზე. ზოგი იზოლაციი მორფოლოგიურად სუსტადა გამიჯნული სახეობის დანარჩენი პოპულაციებისაგან, მაშინ როდესაც სხვები გეოგრაფიული რასების რანგს იმსახურებენ.

მორფოლოგიური არაერთგვაროვნება დამოკიდებულია, ერთი მხრივ, თვით სახეობის, ხოლო მეორე მხრივ, მისი არეალის სპეციფიკაზე. იშ-ჩენკოს (1978) მონაცემებით, კაცკასიური მურა ბაყაყის (*Rana macroura*) ფენოტიპური არაერთგვაროვნება ბევრად მაღალია, ვიდრე ეცრობული მურა ბაყაყებისა (*R. temporaria*, *R. arvalis*), თუმცა ამ უკანასკნელთა არეალი გაცილებით უფრო ფართოა.


პოპულაციების უწყვეტი რიგებში ცალკეული სახეობრივი ნიშნები თანდათან (ხშირ შემთხვევაში შეუმჩნეველ) ცვლილებებს განიცდიან ისე, რომ კერძული პოპულაციები ამ ნიშნების მიხედვით მცველად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ნიშან-თვისებების ამგვარი ცვალებადობა აღწერილი აქვთ პლატეს (1928) მოღუსკ 〈*Cezius glauca*〉-ის პოპულაციებში კუნძულ ნიუ-პროიდანსზე, ტერენტიევს (1957)-ტბის ბაყაყზე და ჩრდილოეთის მელაზე სსრკ-ს ტერიტორიაზე, ვილარეს (1964)-ყურება მრგვალთავაზე სსრკ-ს ევროპულ ნაწილში, კოლობუხოვს (1964) - მექენიშიაზე, მუსხელიშვილს (1970) - კლის ხვლიკზე საქართველოში და ა.შ.

ამგვარად. ნებისმიერი სახეობა კანონზომიერ სიცრცობრიც ცვალებადობას განიცდის, რომელიც მისი შემადგენელი პოპულაციების თავისებურებებში ცვალდება. განსხვავება სიცრცობრივად განცალკევებულ სახეობრიც პოპულაციებს შორის, განპირობებული გარემო ფაქტორებით, გეოგრაფიული ცვალებადობის სახელწოდებითად ცნობილი. ღვეს სახეობის

გეოგრაფიული ცველებიდობა განიხილება, როგორც უნიცენტსალური მიმუშავა, რომელიც ორგანიზმთა სხვადასხვა ჯგუფში სპეციფიკურად მოიწოდება. ნიკ-შან-თვის სერიათ უწყებელი ცველება პოპულაციურ კონტინუატის უკავშირია, თუ არა სახეობის გეოგრაფიული ცველებიადობის ერთ-ერთი კერძო ფორმა.

### 3. პოპულაციების არაერთგვაროვნება

მიუხედავად იმისა, რომ პოპულაციების რეალობას თითქმის არავინ



ნახ. 8. სახეობის პოპულაციურ სტრუქტურა; ნაუმიცის და სხვ. (1975) მიხედვით.

I – სახეობის არეალი, 2 – გეოგრაფიული პოპულაცია, 3 – ეკოლოგიური პოპულაცია, 4 – ელემენტარული პოპულაცია

უარყოფს, თანამედროვე ეკოლოგითა შორის არაა ერთიანი აზრი მათი ტოლ-ფასონების შესახებ. ერთი (ლებედევი, 1946; ნაუმიცი, 1963, 1973; პარტელიავი, 1968) თვლიან, რომ უართავ კაცრველებული სახეობები შე-დგებიან რიგი იერარქიულად დაქვემდებარებული დაჯგუფებულისაგან, ანუ სხვადასხვა რანგის – ადგილობრივი, ეკოლოგიური, გეოგრაფიული და სხვ. პოპულაციებისაგან (ნახ. 8). ეს პოპულაციები ერთმანეთისაგან განსხვა-ვდებიან არეალით, რიცხოვნობით, დამოუკიდებლად არსებობის უნარით და ა.შ. დროებით დასახლებებს, რომელთაც არ შეუძლიათ არსებობა მეტნაკ-



ერთად ჩანგრძლივი დროის მანძილზე, ეს მკოლეობრივი უწოდებენ ჰომეოფიციურ სუბსისტრობებს, ანუ „პარცელარულ დაჯგუფებებს“.

ნაუმოვის განმარტებით, ადგილობრივი (ანუ ელემენტარული) მომულობა წარმოადგენს ინდივიდუალურ ერთობლიობას, რომელსაც უკავია ბიოუ-ნოზის ნაწილი და შეგუებულია მაქსიმალურად ერთგვაროვან პირობებში ცხოვრებას. ადგილობრივი პოპულაციების რაოდენობა დამკიდებულია ბიოუ-ცენოზის სპეციფიკაზე; რაც უფრო ერთგვაროვანია ბიოუ-ნოზი, მით უფრო ნაკლებია მასში ადგილობრივი პოპულაციები და პირიქით. ადგილობრივი პოპულაციები შედარებით სუსტად არიან ერთმანეთისაგან იზოლირებული, ზოგვერ კი საზღვრები მათ შორის ირდვევა და პოპულაციები ერთმანეთს ერება.

ზოგი აცტორი ეჭემენტარულ პოპულაციად მიიჩნევს ჯგუფური არსებობის ისეთ ფორმებს, როგორიცაა კოლონიები, ხროვები, ჯოგები და ა.შ., რომელთა შესახებ ლაპარაკი იქნება მომდევნო თავში.

ადგილობრივი პოპულაციების ერთობლიობა ქმნის ეკოლოგიურ პოპულაციას, ამ უკანასკნელთა ერთობლიობა კი გეოგრაფიულს. ეკოლოგიური პოპულაცია დაკავშირებულია კონკრეტულ ბიოუ-ნოზთან, რომლის თავისებურებები განსაზღვრავენ პოპულაციის სპეციფიკას. მაგალითად, ციყვი (*Sciurus vulgaris*) სხვადასხვა ტიპის ტყებში ბინადრობს - ფუჭვნარში, სოჭნარში და ა.შ. შესაბამისად ამ ბიოუ-ნოზების დასახლებები განიხილება, როგორც ეკოლოგიური პოპულაციები.

ეკოლოგიური პოპულაციების მაგალითებია წყლის მემინდვრიის დასახლებანი დასაცლეთ ციმბირის ტყე-ველზე, ინდი მექოშიის დასახლებანი არალისწინა ველებზე (ნოვიკოვი, 1975). ეკოლოგიური პოპულაციები აღმერილი აქცით გილიაროვს (1941) და არნოლდის (1940) - ხეშეშურთიანებში, ნიკოლსკის (1944) - თევზებში, ნაუმოვს (1955) - სხვადასხვა სახეობის მორღნელებში და ა.შ.

ეკოლოგიური პოპულაციები ხშირ შემთხვევებში მეტნაკლებად გამოხატული მორფოლოგიური თავისებურებებით ხასიათდებიან. მაგალითად,

დასახლეთ საქართველოს ჭიდებში მობინალე მურა ბაყაყი ხასიათულება გრძელი უკანა კიდურებით და მუქწინწკლოვანი კანით. მთაში მობინალე პოპულაციებს ეს თავისებულებები არ გააჩნიათ.


გეოგრაფიულ პოპულაციას უკავია. შედარებით ცრცელი ტერიტორია ერთგვაროვანი გეოგრაფიული პირობებით. გეოგრაფიული პოპულაციები, განსხვავებით ეკოლოგიური, მეტადრე აღგილობრები პოპულაციებისაგან, კარგად არიან ერთმანეთისაგან იზოლირებული. მათი შემაღებინელი ინდივიდები შესაძლოა განსხვავდებოდნენ სხეულის ზომებით, ნაყოფიერებით, ძალას თავისებულებებით და ა.შ. გეოგრაფიული პოპულაციების მაგალითებია ციწროქალა მემინდვრის (*Micromys gregalis*), ველისა და ტუნდრის დასახლებანი რუსეთის პირობებში, ციყვის (*S. sulcatus*) დასახლებები მდერნისების აუზში. (ნახ. 9) და ა.შ.

მე-IO ნახატზე ნაჩვენებია დიდი წილივას (*Paxus major*) გავრცელება ევრაზიაში. ეს სახეობა აქ ხუთი გეოგრაფიული პოპულაციითაა წარმოადგენილი, რომელთაგან პირველი უა მეხუთე სიმპარიული ფორმებია, მაგრამ მათი შეჯვალება არ შეიმჩნევა. თუ სახეობა ევრიზონალურია, თითოეული ბუნებრივი ზონის დასახლება უნდა განვიხილოთ, როგორც გეოგრაფიული პოპულაცია.

განსხვავებით ნაუმოვისა და მის თანამოაზრეთ შეხედულებისაგან, შვარცი (1969, 1973) და ზოგიერთი სხვა ეკოლოგი თვლიან, რომ ინდივიდთა სიცრობრივ ძალგულებათა იერარქიაში სახელწოდებას „პოპულაცია“ იმსახურებს მხოლოდ ის რგოლი, რომელსაც გააჩნია განუსაზღვრელად ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებობისა და განვითარების ყველა აუცილებელი პირობა. იშვიათი არაა, როდესაც ცალკეული ინდივიდები ან მათი ჯგუფები ჰიცემშენ პოპულაციის საზღვრებს და მიგრირებენ სხვა ტერიტორიაზე. აღწერილია ყარსალის (*Alopex lagopus*) მასობრივი მიგრაცია სსრკ-ს უკიდურეს ჩრდილოეთ საზღვრებიდან ქ. იაკუტისკამდე, უდაბნოს კალიას (*Schistocerca gregaria*) მიგრაცია ინდოეთის ჩრდილოეთის რაიონებიდან ქ. აზებაღამდე და სხვ. ასეთ შემთხვევით დასახლებებს არაფერი

აქვთ საერთო დამოუკიდებელ პოპულაციებთან. ჩამოთვლილი სახეობების განსახლებული ინდივიდები, როგორც წესი, ახალ პირობებს ვერ შეუძლია დნენ და იღუპებოდნენ, უკითეს შემთხვევაში ისინი ძველ აღმოჩეულ ფელოებს უბრუნდებოდნენ.

საქართველოს და აზერბაიჯანის ველებზე და ნახევრიდუდაბნებში



ნახ. 9. ციყვის პოპულაციების განაწილება მდენისების ხეობაში (ა) და მათი რიცხოვნობის ცვლილება (ბ); ნაუმოვის (1954) მიხედვით

- I - კედროვან-ლარიქსიან-ნაძვნარი ტაიგის პოპულაცია,
- II - ლარიქსიან-ფიჭვნარი ტაიგის პოპულაცია,
- III - ჩრდილოეთის ტიპის შერეული ტყის პოპულაცია


თავისუფლად მცხოვრები ტკიბების (*Acaroidea*) მრავალ დასახლებას ვხვდებით. მაგრამ დამოუკიდებელ პოპულაციებს ამ ზონის მხოლოდ ტიპური მიოტოპების შინაგარნი წარმოადგენენ. ჭალის ტყების დასახლე-

შპნი არ შეიძლება ასეთად ჩაითვალონ, რადგან ისინი აქ მხოლოდ შედარებით თბილ ცოდნებში გინაღორობენ, ზამთრის მოახლოებისას კი მიგრირებენ ახლომდებარე გიორგებში (ქაჯაია, 1975).

უნდა აღინიშვნოს, რომ ზოგი მეცნიერი პოპულაციების დახასიათებისას კიდევ უფრო შორს მიდის და მათ რთულ სისტემას გვთავაზობს. ასე, მაგალითად, ბეკლემიშვილი (1960) აღნიშნავდა, რომ პოპულაციები, დამოუკიდებლად არსებობის უნარის შესაბამისად, შეიძლება გაიყოს ექვს ჯგუფად: 1. დამოუკიდებელი პოპულაციები, რომელთათვისაც გენების ნაკადს მეზობელი პოპულაციებიდან პრაქტიკულად არა აქვს მნიშვნელობა; 2. ნახევრადდამოკიდებული პოპულაციები, რომელსაც შეუძლიათ არსებობა სხვა პოპულაციებისაგან იზოლირებულად, თუმცა გენების ნაკადი მნიშვნელოვნად ამაღლებს მათ რეცხოვნობას; 3. დამოკიდებული პოპულაციები, რომლებიც გენების ნაკადის გარეშე დიდხანს ცერტებენ და იღუპებიან (მაგალითად, პრიმიტიული კიბოსნაირთა დაჯგუფებები); 4. ფსეცდოპოპულაციები, რომელთა არსებობა მხოლოდ სხვა პოპულაციებზეა დამოკიდებული; 5. დროებითი პოპულაციები, რომლებიც პერიოდულად წარმოიქმნებიან და მოუკიდებელი პოპულაციებისაგან მიგრირებული ინდივიდების ხარჯზე; 6. ჰემიპოპულაციები, ანუ ჰემიროტოპული ორგანიზმების ცალკეული ფაზების დასახლებანი (მაგალითად, ამფიბიების, ან მწერების წყალში მობინადრე ლარვების დაჯგუფებები).

ჩვენ განვიხილოთ უამათვილებებს აზრთა სხვადასხვაობაზე პოპულაციების არატოლფასოვნების შესახებ. ამ გარემოებაში, წმინდა სუბიექტური მიზეზების გარდა, ცლინდება ცოცხალი ორგანიზმების თავისებურებათ მრავალფეროვნება და იმ ბუნებრივი პირობების არაერთგვაროვნება, რომელშიც ისინი გინაღრობენ. ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ცხოველთა ყველა სახეობის პოპულაციები მსგავსი იყოს. შეუძლებელია ისიც, რომ ერთი და იმავე სახეობის პოპულაციების თავისებურებები გა-

ნესხვაცებულ პირობებში იდენტური იყოს. შესაბამისად, სახეობის პომი-  
ლუკური სტრუქტურისა და თევით პოპულაციების მრავალფეროვნების ასე-  
ხველი ზოგადი სკემის შემთხვებზე მიმდევებთან ერთ-ერთ კუთხით  
კატეგორიებულია. ზემოთ მოტანილი მოსაზრებები მხოლოდ მიახლოებით ასა-



ნახ. 10. ღია წიგნითა გაცრულება ევრაზიაში; დაუს

(1975) მიხედვით

I – 5 – გეოგრაფიული პოპულაციები

ხავენ რეალურ სურათს.

როგორც დაცინაზაფხული, პოპულაცია ფუნქციონირებს როგორც ერთიანი

სისტემა, სპეციფიკური მოწყო-ფიზიოლოგიური მახასიათებლებით. ამპონა-  
ტორიული პოპულაციების შემთხვევაში ამ მახასიათებლების შესწავლა სი-  
ძნელეს არ წარმოადგენს. ბუნებრივ პირობებში ეს ბევრად უფრო რეაქცია  
სიძნელეების მიზეზი ხშირ შემთხვევაში კვლევის არაზუსტი მეოთხებია.  
ამიტომ მეოთხოვოგიური საკითხების დამუშავებას ეკოლოგიაში უაღრესად  
დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ, როგორი დახვეწილი არ უნდა იყოს  
კვლევის მეოთხები, ყველა პოპულაციური მახასიათებლის შესწავლა ერთ-  
ნაირი სიზუსტით მაინც შეუძლებელია. როგორც წესი, ეს არც არის აუკი-  
ლებელი, რადგან ესა აუ ის მახასიათებლი ხშირ შემთხვევაში პოპულა-  
ციის მრავალ სხვა თავისებულებას განსაზღვრავს. მაგალითად, ასაკო-  
ბრივი სტრუქტურის დაზღვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ პოპულაციის რეცხოვ-  
ნობის შესახებ მომავალში; სიმჭიდროვე და რეცხოვნობა განაპირობებენ  
სპეციფიკურ შობადობას, დემოგრაფიულ სტრუქტურას და ა.შ. ამგვარად,  
ცალკეული მახასიათებლების ზუსტი დადგენა ხშირ შემთხვევაში უფრო  
მეტის მომცემია, ვიდრე მრავალი მახასიათებლის არაზუსტი განსაზღვრა.

ეცემოთ განხილულია პოპულაციების ზოგიერთი ძირითადი მახასია-  
თებელი. უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ურთიერთყავშირშია და ერთის შე-  
ცვლა იწვევს დანარჩენების ცვლილებას. ასე, მაგალითად, პოპულაციის  
რეცხოვნობის მკვეთრი მომატება განაპირობებს დემოგრაფიული სტრუქტუ-  
რის ცვლილებას და სიმჭიდროვის გაზრდას. ეს მოვლენა განსაკუთრებით  
იჩინს თავს, აუ პოპულაციის არეალი მცირეა, ხოლო ორგანიზმებს არ  
გააჩნიას ფართო განსახლების საშუალება.

როგორი მოგრადუ არ უნდა იყოს პოპულაცია, მისი მახასიათებლე-  
ბი მეტნაკლებად ვარირებენ. მაგალითად, სიცრუობრივი სტრუქტურა სეზო-  
ნების, თუ წლების მიხედვით უცვლება, ისე რომ, აუ ორგანიზმები ჯგუ-  
ფური ცხოვრებით ხასიათდებიან, უცვლება მათი რეცხოვნობა ჯგუფებში,  
თუმცა ჯგუფების რაოდენობა და განაწილება პოპულაციის არეალის ფარგ-  
ლებში, აგრეგაციის ხარისხი და ა.შ. იგივე შეიძლება იძევას დემოგრა-  
ფიული სტრუქტურის შესახებ, პოპულაციის დინამიკის თავისებულებებზე

და ა.შ. ცნობილია, მაგალითად, რომ მოლუსკების და მწერების ზოგიერთი სახეობის პოპულაციებში სქესთა შეფარდება წლების მანძილზე აუცვება 25-30%-ით დაღლების ან მაღლების სასარგებლობა. ცალკეულ წლებში მომდევნობის მკვეთრმა გაზრდამ შესაძლოა განაპირობოს პოპულაციის ჩატარების კობრიცი სტრუქტურის შესამჩნევი ცვლილება მომდევნო წლებში და ა.შ.

მაგრამ პოპულაციური მახასიათებლების ცვლილებები, ცალკეული გა- მონაკლისების მიუხედავად, მაინც შეზღუდულია. მცენარეების, ცხოველე- ბის თუ მიკროორგანიზმების ნებისმიერ პოპულაციას გააჩნია რიცხოვნო- ბის, სიმჭიდროვის, დამოვრაფიული სტრუქტურის რეგულირების საკუთარი მექანიზმები. პოპულაციის ეს უნარი მომეოსტაზიის სახელწოდებითაც ცნობილი.

## II. პოპულაციების სიცრცობრივი სტრუქტურა

### I. ორგანიზმთა განაწილების ხასიათი პოპულაციებში

როგორც აღინიშნა, პოპულაციას, როგორც ინდივიდთა ერთობლიობას, უკავია სახეობის არეალის ნაწილი (ცხადია, თუ საქმე არა გვაქვს ზო- გიერთ ენდემურ სახეობასთან, რომლებიც მხოლოდ ერთი პოპულაციის არი- ან წარმოდგენილი). პოპულაციის ნორმალური არსებობა დაკავშირებულია იმ ტერიტორიასთან, რომელიც იგი ჩინალრობს. როგორი ურველიც არ უნ- და იყოს ეს ტერიტორია, მისი სასიცოცხლო რესურსები შეზღუდულია; აქ შეუძლია იარსებოს ორგანიზმთა მხოლოდ განსაზღვრულმა რაოდენობამ. გა- საგებია, რომ არსებული რესურსების გამოყენების სისრულე დამოკიდე- ბულია არა მხოლოდ პოპულაციის რიცხოვნობაზე, არამედ იმაზეც, თუ რო- გორ არიან განაწილებული ორგანიზმები ტერიტორიის ფარგლებში.

სახეობის სპეციფიკისა და ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული თა- ვისებურებების შესაბამისად, არჩევნ თრგანიზმთა სიცრცობრივი განა- წილების, ანუ შიგაპოპულაციური დისპერსიის 3 ძირითად ტიპს - შემ-




თხვევის, თანაბარის და ჯგუფურს. განაწილების ეს ტიპები სტერიტულ  
წარმოდგენილია მე-II ნახატზე, სადაც თითოეულ თხერულ აღნიშვნის  
დების“ დაახლოებით თანაბარი რაოდენობაა ჩასმული. გვიპულის


შემთხვევითი განაწილება შედარებით იშვიათი მოცლენაა და ვლინ-  
დება მეტნაკლებად ერთგვაროვან პირობებში, როდესაც ორგანიზმები არ  
მიისწოდან დაჯგუფებისაკენ (განაწილების ეს ტიპი იღენტურია იში-  
სა, რასჲც მათემატიკოსები პუასონის განაწილებას უწოდებენ). თანა-  
ბარ განაწილებას ვხვდებით იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზმებს შო-  
რის კონკურენცია ძლიერია, ან ადგილი აქვს მათ ანტაგონისტურ ურთი-  
ერთდამოკიდებულებას. შედარებით ხშირი მოცლენაა პოპულარულის შიგ-  
ნით სხვადასხვა ტიპის დაჯგუფების წარმოქმნა.

ჯგუფური, ანუ კონგრეგაციული განაწილების ღროს მოსალოდნელია  
დაჯგუფებათა სიცერკობრივი განლაგების 3 ვარიანტი - თანაბარი, შემ-  
თხვევითი და ჯგუფური. შესაბამისად, არჩევენ „თანაბარ ჯგუფურს“,  
„შემთხვევით ჯგუფურს“ და „ჯგუფურ განაწილებას მეორე რიგის დაჯგუფე-  
ბების“ წარმოქმნით.

ორგანიზმთა სიცერკობრივი განაწილების ხასიათის, აგრეგაციის  
ხარისხის, ისევე როგორც დაჯგუფებათა სიღიღისა და მათი ხანგრძლივო-  
ბის დადგენა აუკიდებელი პირობაა პოპულარულის მრავალი თავისებურე-  
ბის შესწავლისათვის. იმის მიხედვით, თუ როგორია დისპერსია, პოპულა-  
რიების რცხოვნობის დადგენის მეთოდები შესაძლოა სრულიად განსხვა-  
ვიბული იყოს. მაგალითად, სინჯების მეთოდი (იხ.ქვემდით) საცხებით  
საიმედოა შემთხვევითი და თანაბარი განაწილების ღროს, მაგრამ მიუ-  
ლებელია ორგანიზმთა ჯგუფური განაწილებისას, რადგან ამ შემთხვევა-  
ში სინჯებში აღმოჩნდება ორგანიზმთა შეტისმეტად მიღებული, ან მეტის-  
მეტად დაბალი რაოდენობა. იმ შემთხვევაში, რცხ საქმე კოლონიურ ცხო-  
ვილებს ეხება, კოლონიების რცხვს მოცემულ ტერიტორიაზე სინჯების მე-  
თოდით საზღვრავენ, შემდეგ კი - ორგანიზმთა სამუშაო რაოდენობას თი-  
თოეულ მათგანში.



თანაბაზი  
 $S^2 = 0$



ჰერფერი  
 $S^2 > m$



შემთხვევითი  
 $S^2 = m$

ნაზ. III. ინდიციდთა განაწილების ძირითადი ტიპები  
პოპულაციებში; დაუს (1975) მიხედვით

შიგბაპოპულაციური დისპერსია გამოიჩატება ფორმულით:

$$S^2 = \frac{\sum (y - m)^2}{n - 1}, \text{ საღაც}$$

$n$  — სინჯების საერთო რაოდენობა,

$y$  — ინდიციდების რაოდენობა, თითოეულ სინჯში,

$m$  — ინდიციდთა საშუალო რაოდენობა, სინჯებში.

თანაბაზი განაწილების დროს  $S^2 \approx 0$ , რადგან ინდიციდთა რაოდენობა სინჯებში თითქმის ერთნაირია და უახლოვდება  $m$ -ს. \* შემთხვევითი

\* ბუნებაში ორგანიზმთა აბსოლუტურად თანაბაზ განაწილებას თითქმის არასოდეს ვხვდებით. მაგრამ თუ რეალური სურათი ისეთია, რომ  $S^2$  უაახლოვდება  $0$ -ს, განაწილება თანაბაზად ჩაითვლება.

განაწილებისას  $S^2$  დაახლოებით  $m$ -ის ტოლია, ხოლო ჯგუფური გაზარილებისას  $S^2 > m$ , თანც განსხვავება მათ შორის მია უფრო მეტია, რაც უფრო ძლიერადად გამოხატული ორგანიზმთა აგრეგაცია განაკვეთისას არის.

თუ შეფარდება  $S^2/m$  მიიღისწოდა ნულისაკენ, განაწილება თანა-ბარია. თუ შეფარდება დაახლოებით ერთის ტოლია, განაწილება შემთხვევა-ვითია, ხოლო თუ  $I=8$  მეტია - განაწილება ჯგუფურია.

მოციცანოთ რამდენიმე აშსტრაქტული მაგალითი, სადაც  $n = 10$ .

I მაგალითი. ინდივიდთა რაოდენობა სინჯებში: 10, 9, 10, 10, 10, 9, II, 9, 10, 10.

$$m = 9,8$$

ზემოთ მოციცანილი ფორმულით სარგებლობისას აღმოჩენილა, რომ  $S^2 = 0,4$ . ამ შემთხვევაში დისპერსია უახლოვდება 0-ს, ხოლო  $S^2/m = 0,04$ , რაც მეტყველებს იმაზე, რომ ინდივიდთა სივრცობრივი განაწილება თითქმის თანაბარია.

II მაგალითი. ინდივიდთა რაოდენობა სინჯებში: 15, 19, 24, 16, 25, 17, 18, 26, 14, 20.

$$m = 19,4$$

$$S^2 = 18,3$$

როგორც ცხედავთ,  $S^2$  დაახლოებით  $m$ -ის ტოლია, ხოლო  $S^2/m = 0,94$ , რაც იმას ნიშნავს, რომ განაწილება შემთხვევითია.

III. მაგალითი. ინდივიდთა რაოდენობა სინჯებში: II, 29, 7, 2I, 18, 6, 33, 22, 2, 28.

$$m = 18,3$$

$$S^2 = 98,7$$

ამ შემთხვევაში  $S^2$  ბევრად აღემატება  $m$ -ს, ხოლო შეფარდება  $S^2/m = I=8$  მეტია; ამიტომ ამ მაგალითში ორგანიზმთა განაწილება ჯგუფურია.

$S^2$ -სა და  $m$ -ის საშუალებით შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ ორგანიზითა სიცურულის განაწილების რამდენიმე დამატებითი მაჩვენებელი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ პოპულაციების ურთიერთებაზე მატებული ერთო მათგანია ლოიდის „საშუალო დაჯგუფების ინდექსი“, რომელსაც გენერიკულ სიმჭიდროვის ხარისხს ჯგუფური განაწილების დროს:

$$m^* = m + \frac{\delta^2}{m}$$

მეორე მაჩვენებელია - აგრეგაციის კოეფიციენტი ( $K_A$ ), ანუ იმ ფართის წილი, რომელიც თავისუფალია დაჯგუფებებისაგან:

$$K_A = 1 - \frac{m}{m^*}$$

თუ გამოვიყენებთ ზემოთ მოცემულ მაგალითებს, დავრწმუნდებით, რომ თანაბარი განაწილებისას  $m^* = m$ , ხოლო  $K_A = 0$ . ჯგუფური განაწილების შემთხვევაში  $m^* = 23,7$ , ხოლო  $K_A = 0,2$ . ეს იმას ნიშნავს რომ ცხოველების მიერ დაკავებული მოცელი ჰურიტორის 20% (0,2) თითქმის თავისუფალია, ხოლო 80%-ზე მათი სიმჭიდროვე შეადგენს დაახლოებით 24-ს.

სახეობრივი თავისებურებებისთვის და გარემო პირობების სპეციფიკის შესაბამისად, ბუნებაში ცხვდებით ორგანიზმთა სიცურულის განაწილების ყველა აღნიშნულ ტიპს. კოულის (1946) მონაცემებით, ტყის საფენში მობინალე უხერხემლოთა შორის შემთხვევითი განაწილებით, პირველ რიგში, ობობები ხასიათდებიან; სხვა ფესტახსრიანთა განაწილება, როგორც წესი, ჯგუფურია. პარკმა 1934 წელს დაადგინა, რომ ფქვილში მცირე ღრაჭიკას ლარვების განაწილება, როგორც წესი, შემთხვევითია; იგივე შეიძლება ითქვას ბუგრუმს შესახებ ინვაზიის დაწყებით ფაზაში, როდესაც პოპულაციის სიმჭიდროვე შედარებით დაბალია. მაგრამ შემდეგ, მავნებლის რცხვონბის გაზრდასთან ერთად, მისი განაწილება ლაქობრივ ხასიათს ღებულობს.

რიკლეფსის (1979) მიხედვით, ამერიკაშა და კანადაში ფართოდ

გაცრულებული შაქრის ნეკერჩებალი უდნაც მუაცე ნიადაგის პირობების  
მსხვილ კორომებს ქმნის; ნეკერჩელის ტყეებში ანალოგურად ნაწილები  
ბიან სალამანდრებიც, რომლებიც თავს იყრიან წაჭალის ხელში უცვეს  
სადაც ტენიანობა შედარებით უფრო მაღალია.

საინტერესოა, რომ ერთი და იმავე სახეობის წარმომადგენლები,  
გარემო პირობების შესაბამისად, ხშირად სრულიად განსხვავებული განა-  
წილებით ხასიათდებიან. როტშილდის (1966) აღწერილი აქვს დიდი მექანი-  
ზიას შიგაპოპულაციური დისპერსიის რამდენიმე ძირითადი ტიპი (ნახ. I2).

პირველ ცხრილზე მოტანილია მოლუსკების ორი სახეობის განაწილე-  
ბის ხასიათი მათთვის ტიპიურ ადგილსამყოფელში - შლამის გროვებში.  
როგორც ჩანს, მოლუსკი *M. lateralis*, ისევე როგორც *G. gemma*-ს 2-წლი-  
ანი ინდივიდები, შემთხვევითი განაწილებით ხასიათდებიან, მაშინ რო-  
დესაც *G. gemma*-ს ზრდასრული და ერთწლიანი ორგანიზმების განაწილე-  
ბა ჯგუფურია.


### ცხრილი I

მოლუსკების ორი სახეობის განაწილების ხასიათი  
შლამის გროვებში (კონვექტიკულის შტატში, აშშ)

კლუმის (1975) მიხედვით, შუირე ცვლილებებით

სახეობა, ასაფი	<i>m</i>	<i>S<sup>2</sup></i>	განაწილება
<i>Mulinia lateralis</i>			
ყველა ასაკი	0,27	0,26	შემთხვევითი
<i>Gemma gemma</i>			
ზრდასრული	5,75	II,83	ჯგუფური
ერთწლიანი	4,43	7,72	ჯგუფური
ორწლიანი	I,41	I,66	შემთხვევითი

შიგაპოპულაციური დისპერსიის დაგენა განსაკუთრებულ მნიშვნელო-



ნახ. I2. დიდი მექოშიას სიცრცობრივი განაწილება;  
როტშილდის (1966) მიხედვით

ბას იძენს, როდესაც საქმე პარაზიტულ ან მავნე სახეობებთან ჰყავს. ცნობილია, რომ წყლის მემინდევრია დასავლეთ ციმბირის ველის და ტყეების ლექებში ხშირად უჩივაულოდ მრავლდება და მნიშვნელოვან ზარალს აყენებს სახალხო მიუწოდებას. გამოკვლევებმა უწევენს, რომ ამ ტერიტორიაზე მემინდევრია ორი ტიპის განაწილებით ხასიათდება - წყალსატევებისათვის დაშორებულ აოგილებში შემთხვევით განაწილებით, ნაპირების გასწვრივ კი ჯგუფური როგორც ნოგორც ნოვიკოვი (1979) აღნიშნავს, ეს გარემოება და საჯრინობულ აღდგილებს ვავნებლის უინაოღვივებრივ პრძოლის ღონის-ძეგლების შემუშავების

ანალოგიური უკითხი შეიმჩნევა დიდი მექოშიას სიცრცობრივ განაწილებაში არალისტიკა უდაბნოს პირობებში, სადაც ეს ცხოველი წარმოადგენს შავი ჭირის უადამტანს. ცალკეულ აღგილებში მექოშიიები ხასიათდებიან უწყვეტი განაწილებით, ამიტომ შავი ჭირის ეპიზოოტიის შემთხ-

ვევაში, ისინი სწრაფად ილუპებიან. არალის ზღვის ნაპირებზე, ხევების გასწორივ, მეტვიშიები ქმნიან მსხვილ და მეტნაკლებზე იზრის-ბულ დაჯგუფებებს. ამისთვის ეპიზოდის წლებში ილუპებირზე მიზრობრივ ცენტრ კოლონიები, ხოლო გადარჩენილი ცხვოლები ხელს უწყობენ პოპულაციის ნორმალური რიცხვის ნობის აღდგენას.

საინტერესო შიგაპოპულაციური დისპერსიით ხასიათდება ზოგიერთი ჰიდრობიონტი. თარხნიშვილის და პიასტოლოვას (1985) მონაცემებით, საქართველოს ზოგიერთ ტბორში ტრიტონების ახლადდაბადებული ლარვები მსხვილ დაჯგუფებებს ქმნიან. მაგრამ მოძრაობის საშუალებების განვითარებასთან ერთად, ლარვები იფანტება და აგრეგაციის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად კლებულობს.

როდესაც ვმსჯელობთ შიგაპოპულაციურ დისპერსიაზე, ცხადია, არ უნდა დავიციწყოთ ორგანიზმთა განსახლების შესაძლებლობაც. განსახლება - პოპულაციისათვის დამახასიათებელი ფოსებადა, განპირობებული საპარსებო პირობების მკვეთრი ცვლილებით, ინტენსიური გამრავლებით და ა.შ. ცხადია, განსახლების დროს პოპულაციის ნორმალური სიცრცობრივი სტრუქტურა მეტნაკლებად ირდევდა. მაგრამ ეს გარემოება, როგორც წესი, დიდ ხანს არ გრძელდება - როგორც კი სტაბილიზდება პოპულაციის საზღვრები, თუ განაიზობთა განაწილება თანდათან ნორმას უბრუნდება.

იმისდა მიხედვით, თუ როგორია დისპერსია, ორგანიზმთა ბიოლოგიური თავისებურებებიც განსხვავებულია. ეს, პირველ რიგში, ეხება ჯგუფურ განაწილებას. განაწილების ამ ტიპში შესაძლოა განსაზღვროს ორგანიზმთა გაძლიერებული კონტურენცია საკვებისათვის, სასიცოცხლო სიცრცისათვის და ა.შ. მაგრამ ეს გარემოება გაწონასწორებულია მრავალი უპირატესობით, რომელიც განაპირობებს ჯგუფის, როგორც მთლიანის, არსებობას.

ქვემოთ განხილულია ორგანიზმთა ზოგიერთი თავისებურება შიგაპოპულაციური დისპერსიის მიხედვით.



პოპულაციებში თრგანიზმთა ჯგუფურ არსებობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. ესენია ტერიტორიის კლიმატური თავისებურებები, ამინ-დის სეზონური და დღიურამური ცვლილებები, გამრავლებისათვის ხელშემ-წყობი პირობები, ე. წ. „სოკიალური მიზიდულობა“.

ზოგადდად შეიძლება ითქვას, რომ უგულად ყოფნისას ორგანიზმთა სა-  
ერთო ზედაპირი მასასთან შედარებით კლებულობს, რაც განაპირობებს გა-  
რემოსთან უშუალო კონტაქტის შემცირებას. ამას განსაკუთრებული მნიშ-  
ვნელობა აქვს ექსტრემალურ პირობებში, როდესაც ორგანიზმებს შეუძლიათ  
მიკროკლიმატის შეცვლა მათი მოთხოვნილების შესაბამისად.

აგრეგირებულ მცენარეებსა და ცხოვლებს მრავალი უპირატესობა გააჩინათ იზოლირებულ ორგანიზმებთან შედარებით. მცენარეთა ჯგუფები უფრო ამტანია ძლიერი ქარების მიმართ და უფრო ეფექტურად ამცირებენ წყლის დანაკარგს; ძლიერ დაბალი ჰემპერატურები პრაქტიკულად უვნებელია ფუძირის მუახისათვის, მაშინ როდესაც შესაძლოა დეთალური იყოს იზოლირებული მწერებისათვის.


მე-III ნახატზე ნაჩვენებია ჯგუფური ცხოვრების დაღებითი ეფექტი მღრღნელების მაგალითზე. როგორც ჩანს, მექენიზიას (*Pallasiomys meridianus*) სორის კამერაში ზამთრის (ნომებერ-დეკემბრის და თებერვალ-მარტის) ტემპერატურა საკმარის მაღალია და თითქვის უტოლდება ზაფხულის მაჩვენებლებს. როგორც ნაუმოვი (1955) აღნიშნავს, სეზონური, თუ დღეღამური ტემპერატურის მიუხედავად, ეს ცხოველები კგულურად ყონისას შესამჩნევად ნაკლებ უნგბადს ხარჯავენ.

მეორე მხრივ, აგრეგაცია დაკაცირებულია რთულ ფსიქო-ფიზიოლოგურ რეაქციებთან, რაც ცილინდრი ცხოველთა მოთხოვნილებაში უწევათ კონტაქტი დამყარონ თავისი სახეობის სხვა წარმომადგენლებთან. ჯგუფად მყოფი ორგანიზმებისაგან განსხვავებით, იზოლირებულ ორგანიზმების საგრძნობლად ქვეითლება მეტაპოლიტი უფრო ინტენსიურად იხარჯება

სარეზისტრო ნივთიერებები; ქვეითლება ზრდის ტემპი, სიცავხასიარება—  
ნობა, ნაყოფიერება და ა.შ.



არსებული მონაცემებით, ფარის გარეშე დაწერილ უასტატიკურის  
სურცება უჩქარდება; ეულად დაწერილი დამურები გადაზიარებისას ხასი-  
ათდებიან ნივთიერებათა ცვლის ინტენსიობის უჩქველო მატებით; რაც გა-  
ნაპირობებს ენერგიის გაძლიერებულ ხარჯებს უარგანიზების დაკნინებას.



ნახ. I3. ტემპერატურის სეზონური ცვლილება მექვიშიას სოროს კა-  
მერაში; ნაუმოვის (1955) მიხედვით

კამერაში ცხოველთა ყოფნის პერიოდი დამტკრიზულია; ტემპე-  
რატურის მოსალოდნელი ცვლილება ცარიელ კამერაში აღნიშ-  
ნულია პუნქტირით

მრავალი ცხოველი ჯგუფის გარეშე საერთოდ ცერ მრავლება. მაგალითად,  
ზოგიერთი მტრედი კვერცხს ცერ დებს, თუ არ ხედავს თავისიც ჭიშის



სხვა ფრინველს (საკმარისია ასეთ დედალს წინ დაფუძგოთ სარკე, რომ  
მან დაიწყოს კვერცხდება).

აგრეგაცია ცხოველთა სამყაროს თითქმის ყველა მსხვილი მცირებული  
სოფისად დამახასიათებელი. თევზების კლასიდან ზუთხისებრი, კობრის-  
ბრი და სხვანი ზამთრის მოახლოვებისათვის რამდენიმე ათასი ინდივი-  
დისაგან შემდგარ გუნდებად ერთიანდებიან და გაზაფხულამდე პრაქტიკუ-  
ლად არ იყვნებებიან. ამჟამინდების მოზამთრე ჯგუფები უფრო მცირებულო-  
ვანია. მაგალითად, ჭავაბის ბაყაყის თითოეული ჯგუფი რამდენიმე ათეულ  
ინდივიდს არ აღემატება. კიდევ უფრო მცირება ქვეწარმავლების ჯგუფები,  
მაგრამ ამ შემთხვევაშიც უფრესი უალრესად მნიშვნელოვანია. მაგალითად,  
გელიბის ზოგიერთ წარმომადგენლებში სარეზერვო ნივთიერებების ხარჯება  
საგრძნობლად მცირდება, ხოლო განარჩენის უნარი მატულობს. როგორც ცხა-  
დყოფინ დაკმინებები, ჯგუფებად მყაყი თევზები შხამების მეტ ულუფებს  
იძანენ იზოლირებულ ორგანიზმებთან შედარებით (თუ თევზი მოხვდა წყდლ-  
ში, სადაც მანამდე ჯგუფი ცხოვრობდა, მისი ამტანობა შხამის მიმართ  
საგრძნობლად იზრდება).

ამერიკელმა ეკოლოგმა თლიმ საფუძვლიანად შეისწავლა აგრეგაციის  
პრობლემი ცხოველთა სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებზე. 40-იან  
წლებში მან განაზოგადა დიდალი ფაქტობრივი მასალა და ჩამოაყალიბა  
რამდენიმე დებულება, რომელმაც შემდგომში „ოლის პრიციპის“ სახელ-  
წოდება მიიღეს. თლიმ დაადგინა, რომ ცხოველებისათვის, სახეობრივი  
კუთხიობის მიხედვით, დამახასიათებელია აგრეგაციის სპეციფიკური  
ხასიათი, რომელიც კონკრეტული საარსებო პირობების შესაბამისად იცვ-  
ლება. დაბალი, ისევე როგორც უჩივეულოდ მაღალი სიმჭიდროვე, უარყოფი-  
თად მოქმედებს პოპულაციაზე.

ოლის პრიციპი სქემატურად გამოხატულია მე-I4 ნახატზე, საიდა-  
ნაც ჩანს რომ ზოგიერთი სახეობის პოპულაციებში მაქსიმალური გადარჩე-  
ნა შენარჩუნებულია დაბალი სიმჭიდროვის პირობებში (ა); სხვა შემთხ-  
ვევაში ხელსაყრელია შუალედური სიმჭიდროვე და მისგან გადახრა იწყებს  
პოპულაციის გადარჩენის დაქვეითებას (ბ).


మొదిస పెరిక్రూగిడిస మండిఫ్రోచ్చుగిదా „పెరిక్రూష్టుగిస మినిమాల్స్కుర్” గ్రహణం— నొభిస చ్ఛేసి“, రంఘేణు గిఫాలీ మధ్యమార్గుబిస, రంఘ య్య పెరిక్రూష్టుగిస బిమ త్తింధ్రూప్ర మినిమాల్స్కుర్ డాబాలో, మాన శ్యేసాఎస్స శ్యేచ్యుగిర్లుసిప్రథిస్క్రోప్పి మొదిస పెరిక్రూగిడిస ప్రథోవేలైబిస మరాబాల చ్ఛారమంపాదగ్గెన్ ఏలైర్ డాబాల్ స్క్రోప్ప.

మొదిస పెరిక్రూగిడిస ప్రథోవేలైబిస మరాబాల చ్ఛారమంపాదగ్గెన్ ఏలైర్ డాబాల్ స్క్రోప్ప, మంగాలుటాడ, రంఘ ల్యుపాస నొరిమాల్స్కుర్ ప్రథోవేలైబ్బెడ మినిండా శ్యేసాఎస్సెబ్బోలో, రంఘ్రెసాప్చ క్రమంనొశిస నెండిప్రోఫ్ఫెబిస ర్యుప్పెడ్ ఐ 10 000-చ్చె నొ- ప్లెబిస అర్థా, బోల్ ఐ చ్చె-చ్చె మండిస మినిమిస సామి భ్యుద్యి; అఫ్రిక్యూలో సెపి- లుసాంత్రోస అశ్చింపెబ్బోలో, రంఘ ప్రోఫ్ఫెబిస వ్యాపారాక్లెబ్ 25 ప్రథోవేలిసా, బో- లు ల్యిఫ్టిళ్మోటిస ల్యిమిసాంత్రోస నెండిపిమాల్స్కుర్ డా 300-400 ప్రథోవేలో తిమిప్పుల జ్యా- గ్మెసి.

మొది చ్ఛివ్వెన్స, రంఘ ప్రథోవేలుటా జ్యశ్యాపించాడ గాప్రసించెబిస డాక్యాప్పుస్క్రో- శ్యులో క్రమప్రెరించ్చెబిస డామి య్య ని భ్యారమిసటాన్. క్రమప్రెరప్పుగిద (పెరిక్రూప్రమప్రె- రఖ్చుగి) చ్ఛారమంపాదగ్గెన్స సాథింగపాంప్రోబ్రిబ్పి న్రగానిచ్చుగిసి సాప్పుద్యోగ్యులుస, రంఘ్రె- శ్యాప ప్రథోవేబ్బిస సెబ్బాందాసథ్యాగ్వార్థాదాద గామించాత్యుల్లి డా తాపిస ప్రూమినించ్చుగి- దస అడామించ్చెసి అణ్ణీవ్సి. క్యాంపాఫ్సి అగ్ర్యేగాప్పుగిద మెస్టోండ గాప్పువ్వుల జ్యార్గ్లోబ- శ్యిసా సాసార్గ్లోబ్లాస; అగ్ర్యేగాప్పుగిసి ల్యిథిమిస గాథ్రాదా వ్యాప్పె లాపాక్నించెబ్లాద మెం- ప్పెఫ్రెబిస అడామించ్చెస, రంఘాప్రె ల్యెబిసమియ్ర సెబ్బా ప్రథోవేల్చిస.

ఫోచింణ్ణుగిస్కుర్ పెరిక్రూప్రెస్సెబిస నెండిమిచ్చుగిదా, రంఘేణు గానుపిక్రిబ్బెబిస న్రగానిచితిం స్యుప్రెబ్లిస్సునారించుబిస సాప్రసిం అమాంల్యేబాస జ్యశ్యాప్స్కుర్ ప్రథోవ్- ర్యుబిస ఫ్రాస్, జ్యశ్యాబిస వ్యాప్పెబిస సాథ్యెల్చ్యుంప్రోబిటాచ ప్రెంబిల్లి. జ్యశ్యాబిస వ్యాప్పెబిస చ్ఛారమాంగ్గెన్స ప్రథోవేలుటా భ్యసిప్రోఫింణ్ణుగిస్కుర్ ర్యుప్పెగిదస తాపిసిగి సాథ్యెబిసి సెబ్బా నెండిప్రోబిస మిమార్సి. ప్రథోవ్ ఐ, గిగి వెర్ గామిప్లింఫ్రెబిస సాథ్యెబ్బిస, రంఘేలుటా చ్ఛారమంపాదగ్గెన్ ఏబిసి నెండిప్రోబిస శ్యేసామించెబాద డాబాల్వెబాద, గాలిచించెబిసిపాంబాద మిమిప్రెబిస, క్రమ- శ్యుజ్యెబిస పెరిక్రూప్రుగిసి సెబ్బా చ్ఛీప్రోబిటాన గాప్పెచిర్చుబిస డాబాల్. (డాబాల్వెబిస రంఘ గ్రహణప్రుగ్గురా భ్యారంబి జ్యశ్యాప్పల ప్రుమ్మెనిసాస 34%-ిట మ్యెర్ శ్యాంగ్బాదస కార్జ్యాప్స నొరమాసటాన శ్యేఫార్గ్లోబిట).

ჯგუფის ეფექტის სახესხვაობად „მასობრივი ეფექტი“, რომელიც  
თავს იჩინს პოპულაციის სიმჭიდროვის უზომო გაზრდისას. მასობრივი ეფე-  
ქტის მაგალითია ფაზური ცვალებადობა მწერებში, რომელიც აღმოჩენილია  
ცნობილი რუსმა ენტომოლოგმა ბ. უვაროვმა 1921 წელს კალიაშვილთან შე-  
წავლისას (მოგვიანებით ეს მოცენა გამოცენდა სხვა მწერებშიც - ხე-  
შეშეფრთიანებში, ქერცლფრთიანებში და ა.შ.).



ნახ. I4. ოლის პრინციპის სქემა; ოლის და სხვ. (1949) მიხედვით

მწერთა ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელია ორი ფაზა - ერთეული და  
გუნდური, რომელთა წარმომადგენლები განსხვავდებიან აგებულებით, ძალ-  
ური, განვითარების ტემპით და ა.შ. გუნდური ფაზის ფორმირება ერთეული  
ფაზიდან ხდება, პოპულაციის რიცხვონბის და სიმჭიდროვის მკვეთრი მო-  
მატების დროს. ეს პროცესი განაპირობებს მნიშვნელოვან ცვლილებებს  
მწერთა ბიოლოგიაში; სახელმძღვანელო, მათი აქტიობა და მისწრაფება მიგრაცი-  
ებისაცენ იზრდება, რაც, საბოლოო ჯამში, სიმჭიდროვის მეტნაკლებ  
სტაბილიზებას იწვევს.

გუნდურ ფაზაში მდედრებისათვის დამახასიათებელია მცირე ზომის  
საკვერცხე მისაკებია რაც უფრო მაღალია პოპულაციის სიმჭიდროვე, მით


შური დაბლიც ნაყოფიერება (მაგალითად, აზიური კალის ერთეული ფაზის დიდები დაბენ I1000-I200 კვერცხს, მაშინ როდესაც გუნდური ფაზის წარმომადგენლები - მხლოდ 300-350-ს) .

გუნდური ფაზის ფორმირების მექანიზმი დაკავშირებულია ენდოკრინული ჯირკვლების მიერ გამოყოფილ პორმონთან. მიმდებარე სხეულების გა-დანერგვა ერთეული ფაზის წარმომადგენლებიდან გუნდურში იწვევს ამ უკანასკნელთ ცვლილებას ერთეული ფაზის მიმართულებით. საწინააღმდეგო მოვლენას ექნება ადგილი, თუ გუნდური ფაზის პემოლიმფას შევიყვანო ერთეული ფაზის ინდივიდუალში.

ამგვარად, ჯგუფის მფლეობი და მისი გამოხატულება მწერებში - ფაზური ცვლელბადობა - ფუნქციურადაა დაკავშირებული პოპულაციის სიმჭიდროვესთან და წარმომადგენს მისი რეცხოვნობის რეგულირების საშუალებას.

ჯგუფური ცხოვრების კერძო ფორმებია ჟუახები, კოლონიები, ხროვები, გუნდები, ჟოგები, საღავა ჯგუფის მფლეობი განსაკუთრებით კარგად ცვლილება.

ჟუახების არსებობას შთამომავლობაზე ზრუნვა უდევს საფუძვლად. ჟუახური ცხოვრება ცხოველთა სამყაროს თითქმის ყველა ჯგუფისთვისად დამახასიათებელი, აუმცა სხვადასხვა სახეობაში სპეციფიკურად ცვლილება. იმისდა მიხედვით, თუ რომელი სქესის წარმომადგენლი იღებს თავის თავშე შთამომავლობაზე ზრუნვის ფუნქციას, არჩევენ მდედრობით, მამრობით და შერეული ტიპის ჟუახებს. ჟუახური ცხოვრების ძროს ტერიტორიული იზოლაცია მკერალდა გამოხატული. ეს ხორციელდება სხვადასხვა-გვეპრი სიგნალებით, ტერიტორიის დაკვალვით, მუქარის რიტუალური ფორმებით, პირდაპირი აგრესიით და ა.შ. ჟუახების ტერიტორიულ დამოუკიდებლობაზე შეიძლება ციტისულოთ მგლის საბუდარების განაწილების მიხედვით ჟის ნაკრძალის პირობებში. ყველა საბუდარს თავს მცვებავი ტერიტორია გააჩინია, რომელიც აქტიურადაა დაცული ჟუახის წევრების მიერ (ნახ. I5).



ნახ. I5. მგლის საბუდარების სანადირო ნაკვეთები თეს  
ნაქრძალის ტერიტორიაზე; კოზლოვის (1952) მიხედვით.  
1-საბუდარის ადგილი, 2-სანადირო ნაკვეთების საზღ-  
ვრები, 3-სანადირო გარშემუშები

კოლონიები – მობინადრე ცხოველთა ჯგუფური დასახლებებია, რასინი შესაძლოა არსებობდნენ ხანგრძლივად, ან იქმნებოდნენ ცხოველთა კურორტების პლების პერიოდში, როგორც ამას აღვილი აქვს, მაგალითად კურორტების თოლიების და სხვათა შემთხვევაში. ორგანიზმთა ურთიერთდამოყიდვებულების მიხედვით, ცხოველთა კოლონიები ნაირგვარია. მაგალითად, ზღვის რკოები ქმნიან პრიმიტიულ დაჯგუფებებს, რომლის წევრები სერესპორტი მომწიფების პერიოდში ერთმანეთშე მასტიმულირებელ ზეგავლენას ახდენენ. წმაღლეს ცხოველებში კოლონიის წევრთა ფუნქციები ერთობლივად ხორციელდება, რაც ამაღლებს ცხოველთა გადარჩენის შესაძლებლობას.

კოლონიების სტრუქტურა ცხოველთა ჯგუფების მიხედვით განსხვავებულია, თუმცა მათი არაერთგვაროვნება ზოგჯერ ერთი და იმავე ტაქსონის ფარგლებშიც ვლინდება.

განსაკუთრებულ სირთულეს კოლონიური ცხოვრება საზოგადოებრივ მეშრებში – ტირმიტებში, ფუძიკრებში, ჭიანჭველებში – აღწევს. ასეთ კოლონიებში ცხოველები ერთობლივად ახორციელებენ ამა თუ იმ სასიცოხლო ფუნქციას – თავდაცვის, საკვების მოპოვების, მშენებლობის და ა.შ., თანაც კოლონიის ყველა წევრს მხოლოდ გარცვეული ოპერატორის შესრულება აკისრია.

როგორც ვხედავთ, 3 წლის განმავლობაში პოპულაციის რცხვოვნობა  
ვერ ამჟღავნებს ზრდისა თუ დაკლების ტენდენციას. თუ  $t_0 - t_1$  დროში  
იგი გაიზარდა  $2,05$ -ჯერ,  $t_1 - t_2$  დროში - შემცირდა  $1,8$ -ჯერ, სამაგი-  
ეროდ  $t_2 - t_3$  დროში კვლავ გაიზარდა  $2,3$ -ჯერ. ამასთან მისი ასაკო-  
ბრივი შეფერილობა მკვეთრად უვლება. შესაბამისად მხოლოდ  $t_0 - t_3$   
წლების ვექტორ-სცეტების მონაცემებით არ შეიძლება მსჯელობა პოპულა-  
ციის რცხვოვნობის მატების შესახებ. მაგრამ შემდგომში პოპულაციის  
ზრდა, ისევე როგორც მისი ასაკობრივი სტრუქტურა, თანდათან სტაბილი-  
ზოგბა:

$$t_3 \begin{bmatrix} 220 \\ 5 \\ 55 \end{bmatrix} \quad t_4 \begin{bmatrix} 120 \\ 110 \\ 2,5 \end{bmatrix} \quad t_5 \begin{bmatrix} 225 \\ 60 \\ 55 \end{bmatrix} \quad t_6 \begin{bmatrix} 230 \\ 112,5 \\ 30 \end{bmatrix} \quad t_7 \begin{bmatrix} 285 \\ 115 \\ 56 \end{bmatrix}$$

$$N = 280 \quad N = 232,5 \quad N = 340 \quad N = 372,5 \quad N = 456$$

$$2,3^X \quad 1,94^X \quad 1,46^X \quad 1,10^X \quad 1,22^X$$

$$t_8 \begin{bmatrix} 342,5 \\ 112,5 \\ 57,5 \end{bmatrix} \quad t_9 \begin{bmatrix} 400 \\ 171 \\ 71 \end{bmatrix} \quad t_{10} \begin{bmatrix} 484 \\ 200 \\ 86 \end{bmatrix} \quad t_{II} \begin{bmatrix} 572 \\ 242 \\ 100 \end{bmatrix} \quad t_{12} \begin{bmatrix} 684 \\ 286 \\ 121 \end{bmatrix} \quad t_{13} \begin{bmatrix} 814 \\ 342 \\ 148 \end{bmatrix} \quad t_{14} \begin{bmatrix} 970 \\ 363 \\ 147 \end{bmatrix}$$

$$N=542,5 \quad N=642 \quad N=770 \quad N=914 \quad N=1091 \quad N=1299 \quad N=1542$$

$$I,19 \quad I,18 \quad I,20 \quad I,19 \quad I,19 \quad I,19 \quad I,19$$

სამოლომ ჯამში, პოპულაციის ზრდა მხოლოდ მე-8 წლისთვისაა გათა-  
ნაბრებული; ამის შემდეგ ყოველწლიურად იგი I,19-ჯერ იზრდება. ამავე  
დროს I,II და III ასაკობრივი კლასების თანაფარდობა მეტნაკლებად მუ-  
დმივია.

როგორც სტატისტიკა გვაუწყებს, პოპულაციის სტაბილური ზრდისას  
მისი რიცხოვნობა მოცემული დროისათვის გამოიიანებარიშება ფორმულით:

$$N_t = N_0 \lambda^t, \quad \text{სადაც}$$

$$N_0 - \text{სტაბილური პოპულაციის რიცხოვნობა},$$

$$\lambda - \text{რიცხოვნობის ნამატია ერთ წელიწადში}$$

ჩვენს შემთხვევაში ასეთი ზრდა მხოლოდ მე-8 წელს აღინიშნება,  
როდესაც პოპულაციის რიცხოვნობა აღწევს 542,5-ს, ხოლ წლიური ნება-  
ტი  $\lambda = I,19-ს$ . შესაბამისად, ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$N_t = N_8 \cdot I,19^t; \quad N_t = 543 \cdot I,19^t, \quad t \geq 8$$

აქედან გამომდინარე, მაგალითად 20 წლის შემდეგ პოპულაციის რიცხოვ-  
ნობა

$$N_{20} = 543 \cdot I,19^{12} \approx 4379$$

მოციული გადარჩენის კიდევ ერთი ტაბულა, სადაც რიცხოვნობა  
ლოგარითმულ მაჩვენებლებშია გამოხატული. იგი ეხება კომპისტოს ხვატა-

რის (*Mamestra brassica*) ორ ლაბორატორიულ პოპულაციას, რომელიც  
სხდადასხვა საკვებ არეზე ვითარდებოდნენ. ცხრილი საშუალებას გვიჩ-  
უეს დავადგინოთ პოპულაციის ცვლილებები განვითარების საცდამზღვევული  
ფაზაში მყოფი ინდივიდების სიკვდილიანობის მიხედვით. ამ შემთხვევაში კვირ  
დაზგენილია ცალკეული ფაზების რიცხოვნობა ( $N_x$ ), ციფრობრივი მონაცე-  
მები გადაყვანილია ათობით ლოგარითმებში, რის შემთხვევაში წინა და მომ-  
დევნო მაჩვენებლების სხვაობის მიხედვით, გამოანგარიშებულია თითოე-  
ული ფაზისათვის დამახასიათებელი (ანუ სპეციფიკური) სიკვდილიანობა  
( $\lg K_x$ ). მაგალითად,

$$\lg K_x(\alpha - \beta) = \lg N_\alpha - \lg N_\beta, \text{ სადაც}$$

$N_\alpha$  და  $N_\beta$  გამოხატავენ  $\alpha$  და  $\beta$  ფაზების რიცხოვნობას.

როგორც მე-I3 ცხრილიდან ჩანს, კომბისტოს ხვატარის პოპულაცი-  
ების თარიღაპირველი რიცხოვნობა განსხვავებულია. კვერცხებისა და და-  
ბალი ასაკის მუხლების სიკვდილიანობის მხრივ I პოპულაცია (მისი  
ლოგარითმული მაჩვენებლებია 0,II94 და 0,0122) რამდენადმე უსწრებს  
II-ს (0,II84 და 0,0029), სამაგიეროდ მაღალი ასაკის მუხლების სიკვდილიანობის  
მხრივ საჭინააღმდეგო სურათს ვაწყდებით.

ხოლო ერთი განტოლების მიხედვით, სიკვდილიანობის მაჩვენებელი  
მთელი ონტოგენეზის მანძილზე

$$\lg K = \lg K_x(\alpha - \beta) + \lg K_2(\beta - c) + \dots \lg K_n(c - j),$$

სადაც  $\alpha, \beta, c \dots i, j$  - განვითარების ფაზებია.

გადაანგარიშება გვიჩვენებს, რომ მიუხედავად ცალკეული ფაზების  
სიკვდილიანობის არაერთგვაროვნებისა, თრივე ლაბორატორიული პოპულაცი-  
ისათვის დამახასიათებელია სიკვდილიანობის ერთი და იგივე საერთო მა-  
ჩვენებელი:

$$\lg K = 0,23$$

ქვემოთ მოცემულ გრინჯის ცხვირგრძელას ლაბორატორიული პოპულაცი-  
ის დემოგრაფიული ტაბულა, შეაგენილი ბიორჩის მიერ 1948 წელს (იხ.  
ცხრილი I4). პოპულაცია თბეტიმალურ პირობებში ვითარდებოდა ( $29^\circ C$ ,

ପ୍ରମିଳେ କ୍ଷେତ୍ରରେ ପର୍ଯ୍ୟନ୍ତ ପରିମାଣିତ ହୋଇଥାଏଇଲୁ  
ସିକ୍ଷାପଦିଲୋଗାନଙ୍କରେ ଅନନ୍ତ କାର୍ଯ୍ୟ କରିଛି ।  
ପରିମାଣିତ କାର୍ଯ୍ୟ କରିବାର ବ୍ୟାଖ୍ୟାନରେ (୧୯୮୮) ମନ୍ତ୍ରୀର ଉପରେ

ଫାଟିଂ	ରୀପ୍‌କ୍ରେନ୍‌ବର୍ଡ୍‌ରେ ( $N_x$ )	$\log N_x$	ସମ୍ମାନିତ ସିକ୍ଷାପଦିଲୋଗାନଙ୍କରେ ( $\log K_x$ )
ପରିମାଣିତ ସାକ୍ଷେପିତା ଅର୍ଥ			
୩୮୦୯୩୬୩୦	287	2,4579	
I-III ଅସାକ୍ଷିତ ମୃଦୁଲୀକାରୀ	218	2,3385	0,II94
IV-VI ଅସାକ୍ଷିତ ମୃଦୁଲୀକାରୀ	218	2,3385	
ପରିମାଣିତ କାର୍ଯ୍ୟ	212	2,3265	0,0122
ଶ୍ରୀପର୍ବତୀ	196	2,2923	0,0340
ଭର୍ଦ୍ଦାପରମ୍ପରା	169	2,2279	0,0644
ସାରାଜମାନ ସିକ୍ଷାପଦିଲୋଗାନଙ୍କରେ ( $K$ )			0,2300

ପରିମାଣିତ ସାକ୍ଷେପିତା ଅର୍ଥ			
୩୮୦୯୩୬୩୦	197	2,2945	
I-III ଅସାକ୍ଷିତ ମୃଦୁଲୀକାରୀ	150	2,I76I	0,II84
IV-VI ଅସାକ୍ଷିତ ମୃଦୁଲୀକାରୀ	150	2,I76I	
ପରିମାଣିତ କାର୍ଯ୍ୟ	149	2,I732	0,0029
ଶ୍ରୀପର୍ବତୀ	124	2,0934	0,0798
ଭର୍ଦ୍ଦାପରମ୍ପରା	116	2,0645	0,0289
ସାରାଜମାନ ସିକ୍ଷାପଦିଲୋଗାନଙ୍କରେ ( $K$ )			0,2300

ბრინჯის ტენიანობა I4%) და საცსეპით იზოლირებული იყო მცუცუებულ 140-ს ხეობებისაგან. როგორც ვხედავთ, გამრავლების სუფთა სიჩქარე  $R = 113,56$ , რაც იმას ნიშნავს, რომ გადარჩენისა და ნაყოფიერების აუცილებელი ჩამოვალი ჩვენი მომსახურებულების პირობებში ერთი თაობის მანძილზე პოპულაციის რცხვონობა იზრდება II3,6-ჯერ.

ცხრილი 14

ბრინჯის ცხვირგრძელას ლაბორატორიული პოპულაციის

დემოგრაფიული ჭაბულა;

ბიოჩის (1948) მიხედვით

ასაკი; კვირები ( $x$ )	გადარჩენის სი ( $\ell_x$ )	ნაყოფიერება ( $B_x$ )	შთამომაცემობის მოსალოდნელი რიცხვი ( $\ell_x B_x$ )
4,5	0,87	20,0	17,400
5,5	0,83	23,0	19,090
6,5	0,81	15,0	12,150
7,5	0,80	12,5	10,000
8,5	0,79	12,5	9,870
9,5	0,77	14,0	10,780
10,5	0,74	12,5	9,250
11,5	0,66	14,5	9,570
12,5	0,59	11,0	6,490
13,5	0,52	9,5	4,940
14,5	0,45	2,5	1,145
15,5	0,36	2,5	0,900
16,5	0,29	2,5	0,800
17,5	0,25	4,0	1,000
18,5	0,19	1,0	0,190

გამრავლების სუფთა სიჩქარე  $R = 113,560$


ბუნებაში, მეტნაკლებად სტაბილურ პირობებში,  $R$  ხშირ შემთხვევაში I-ის ფოლია. პერისმა და პიტელამ (1962), გამოიყენეს რა შესაბამისი პარამეტრები, დააღინეს, რომ ცხრაფეხას (*Oniscus* ტუმარისტი) პოპულაციისათვის  $R = 1,02$ . ეს იმაზე მეტყველებს, რომ პოპულაციაში შებარობა და სიკვდილიანობა დაახლოებით თანაბარია.

#### 4. პოპულაციების რაოდენობრივი ცვალებათვა

ცვალებათვა - ნებისმიერი პოპულაციის დამახასიათებელი თავისებულება. მაშინაც კი, როდესაც ბიოცენოზი სავსებით სტაბილური გვეჩვენება, მისი შემადგენელი პოპულაციების რცხოვნობა, სიმჭიდროვე, შობა-დობა, სიკვდილიანობა და სხვა მახასიათებლები მეტნაკლებ ცვლილებას განიცდიან. ეკოლოგიური უნდა აინტერესებდეს არა მარტო ის, თუ რა გზით იზრდება ან მცირდება პოპულაცია, არამედ ისკუ, თუ რამდენად ხშირად და ინტენსიურად უცვლება იგი.

როგორც უკვე აღნიშნეთ, თეორიულად ნებისმიერ პოპულაციას გადაწინააღმდეგ განვითარებული ზრდის უნარი, რომელიც შეესაბამება სახეობის ბიოტურ პოტენციალს. თუ დაცუშვებთ, რომ სახეობის ბიოტური პოტენციალი რეალიზებულია, ხოლო საკვები არაა ლიმიტირებული, პოპულაციის ზრდა განხორციელდება გეომეტრიული პროგრესით. თუ ასეთ ზრდას გრაფიკულად გამოვხატავთ, მივიღებთ უსასრულობისაკენ მიმართულ მრუდს, რომელსაც ექსპონენციალურს უწოდებენ (ნახ. 30).

ჩავთვალოთ, რომ პოპულაცია ხასიათდება ექსპონენციალური ზრდით. მისი თავდაპირველი რცხოვნობა აღნიშნოთ  $N$ -ით, დრო  $t$ -ით. თუ სიმბოლო გამოხატავს ცვალებად ნიშანს, მას წინ ეწერება ბერძნული ასო  $\Delta$  (დელტა). ასეთ შემთხვევაში  $\Delta$  გამოხატავს ორგანიზმთა რცხოვნობის ცვლილებას,  $\Delta t$  - განვლილ პერიოდს, ხოლო შეფარდება  $\Delta N / \Delta t$  - ორგანიზმთა რცხოვნობის ცვლილებას დროის მონაკვეთში. სხვადასხვა პოპულაციის შედარებისას სასურველია ვყოდეთ, თუ როგორ უცვლება (იზრდება ან მცირდება) პოპულაცია ერთ ორგანიზმე გადაანგარიშებით. ამას ადგენერ შეფარდებით  $\frac{\Delta N}{\Delta t \cdot N}$



ნახ. 30. პოპულაციის ზრდის მრუდეები; დაუას (1975) მიხედვით  
 I - ექსპონენციალური ზრდის მრუდი,  
 II - ლინეარური ზრდის მრუდი,  
 III - გარემოს წინააღმდეგობა

თუ ვისარგებლებთ შობადობის ( $\beta$ ) და სიკვდილიანობის ( $d$ ) ტოლობებით, პოპულაციის ექსპონენციალური ზრდა შეიძლება გამოიხატოს ფორმულით:

$$\frac{\Delta N}{\Delta t} = \beta - d = c$$

რაც მეტია სხვაობა შობადობასა და სიკვდილიანობას შორის, მით მეტია პოპულაციის ზრდის კოეფიციენტი (თუ სხვაობა უარყოფითა, ანუ სიკვდილიანობა სჭარბობს შობადობას, ზრდის კოეფიციენტი უარყოფითი იქნება).

ბუნებრივი პოპულაციების შემთხვევაში ჩვენ უმეტესწილად არ გავიაჩინოთ მონაცემები შობადობისა და სიკვდილიანობის შესახებ\*. ამიტომ პოპულაციის რცხოვნობის ცვლილებაზე იძულებული ვართ ვიმსჯელოთ ჯა-

მური მაჩვენებლების მიხედვით, რომელიც გვამცნობს, თუ როგორ იზრდება (ან გვირდება) პოპულაცია დროის მონაკვეთში.

მაგალითისათვის განვიხილოთ ორი პოპულაციის ზრდა, რომელიც ესაბამება 30-ე ნახატზე გამოხატულ ექსპონენციალურ მრუს: I 1920 წელს კუნძულ ტასმანიაზე შეიყვანეს შინაური ცხვარი, რომლის რიცხოვნობა არ აღემატებოდა 200 ათასს. I 1950 წლისათვის ცხვრის რაოდენობა მიუახლოვდა 2 მილიონს. ჩვენ არ გაგვაჩინია მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორი იყო ცხვრის შობადობა და სიკვდილიანობა ამ 30 წლის მანძილზე; ცხადია, რომ საერთო ჯამში შობადობა მნიშვნელოვნად სჭირდობდა სიკვდილიანობას. თუ გამოვიყენებთ ზემოთ მოტანილ ტოლობებს, დავრწმუნდებით, რომ ცხვრის პოპულაციის ზრდა შეაღენდა საშუალოდ 60 000-ს წელიწადში ( $\frac{\Delta N}{\Delta t} = \frac{2\,000\,000 - 200\,000}{30}$ ), ხოლო პოპულაციის ზრდის კოეფიციენტი ერთ ინდიკატორი - 0,3-ს ( $\frac{\Delta N}{\Delta t \cdot N} = \frac{1\,800\,000}{200\,000 \cdot 30}$ )

I 1937 წელს აშშ ვაშინგტონის შტატის ერთ-ერთ კუნძულზე შეასახლეს ხოხბის 2 მამალი და 6 დედალი. 5 წლის შემდეგ ხოხბის რაოდენობამ მიაღწია I 325-ს. ამგვართად, ხოხბის პოპულაციის წლიური ზრდა შეადგენდა საშუალოდ 263-ს, ხოლო ზრდის კოეფიციენტი ერთ ინდიკატორი 33-ს.

უნდა აღინიშნოს, რომ პოპულაციის რიცხოვნობის ზრდის ასეთი გამოხატვა მეტისმეტად მიაჩლოდებითია, რაშიც იორად დავრწმუნდებით ესემენტიალური მათემატიკური განაგარიშებით. მაგრამ იგი მაინც იძლევა წარმოაგენას ექსპონენციალური ზრდის შესახებ და, ამავე დროს, პოპულაციების შეფარების საშუალებას გვაძლევს.

ჩვენს მიერ წინა თავში განხილული ლესლის მატრიცული სისტემა პოპულაციის ექსპონენციალური ზრდის გამოხატვის გაცილებით უფრო ზუსტი საშუალებადა. თუ ჩავთვლით, რომ ცხვრის პოპულაციის ზრდა 30 წლის მანძილზე სტაბილური იყო, შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ მისი ზრდის წლიური ტემპი. ამისათვის დაუბრუნდეთ ფორმულას

$$N_t = N_0 \cdot \lambda^t,$$

სადაც

$\lambda^t$  - პოპულაციის ნამატება  $t$  დროში.

ჩავსცათ მასში ჩვენთვის ცნობილი სიდიდეები:

$$2\ 000\ 000 = \lambda \cdot 200\ 000,$$

$$\text{საიდანაც } \lambda^{30} = 10, \quad \lambda = \sqrt[30]{10} = 1,08$$



ამგვარად, 30 წლის მანძილზე ცხვრის პოპულაციის წლიური ნამატი (λ) შეადგენდა  $1,08$ -ს ანუ 8%-ს.

აღნიშნული ფორმულა საშუალებას გვაძლევს გამოვიაწვარიშოთ ცხვრის პოპულაციის რაცხოვნობა ნებისმიერი ღროისათვის; მაგალითად მე-3 წელს იგი შეადგენდა დაახლოებით  $252\ 000$ -ს ( $N_3 = 1,08^3 \cdot 200\ 000$ ), მე-10 წელს -  $432\ 000$  ( $N_{10} = 1,08^{10} \cdot 200\ 000$ ) და ა.შ.

შეცვლაროთ პოპულაციის ექსპონენციალური ზრდა გამოვხატოთ გრაფიკულად. ჩვეულებრივი გასტრაპით თუ ვისარგებლებთ, ვაშინ მრულის მნიშვნელობა ღროის ერთსა და იმავე მონაცემში ერთი და იგივე პროცენტით შეცვლება, მაგრამ ამ ცვლილების აბსოლუტური მაჩვენებელი თანდათან მოიმატებს. (იხ. ნახატი 3I, I). მართლაც, თუ პირველი წლის 8%-იანი ნამატი შეადგენს დაახლოებით  $16\ 000$ -ს; მეორე წლის ასეთივე ნამატი  $\approx 17\ 300$  და ა.შ. ლოგარითმულ მასშტაბში გამოხატვისას, ექსპონენციალური მრულის მნიშვნელობა ერთნაირად იზრდება, სახელდობრ

$$\Delta \ln N_{t_2-t_1} = \Delta \ln N_{t_1-t_0}, \quad \text{და ა.შ. (ნახატი 3I, II).}$$

სწორედ ამ მაჩვენებლით აღნიშნავენ პოპულაციის ბიოტურ პოტენციალს, რომლის შესახებ ზემოთ იყო ლაპარაკი. შესაბამისად, ბიოტური პოტენციალი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც პოპულაციის წლიური ნამატის (λ) ნატურალური ლოგარითმი:



$$z = \ln \lambda, \quad \text{საიდანაც } \lambda = e^z, \quad \text{სადაც}$$

$$e = \text{ლოგარითმის ფუძე } (e = 2,71828)^*$$

\* ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ბიოტური პოტენციალის დაღვენისას ვიყვანებთ არა ათობითი ლოგარითმის ( $\ln$ ) მაჩვენებელს, არამედ ნატურალური ლოგარითმის ( $e^z$ ) მნიშვნელობას.

ნახ. 3I. შინაური ცხვრის პოპულაციის ექსპონენციალური ზრდა:

- I - ჩვეულებრივ ეასტაბილი,
- II - ლიგარითმულ ეასტაბილი



ამრიგად, ლოგარითმულ მასშტაბში გამოხატვისას, ექსპონენციალური ზრდის ზემოთ მოტანილი ფორმულა შემდეგ სახეს მიიღებს:

$$N_t = N_0 \cdot e^{zt}$$

თუ ტოლობის ორივე ნაწილს გავალგარითმებთ, მივიღებთ



$$\ln N_t = \ln N_0 + zt,$$

$$z = \frac{\ln N_t - \ln N_0}{t}$$

საიდანაც

ტოლობაში შესაბამისი მაჩვენებლების ჩასმით შეგვიძლია დავადგინოთ ცხვრის პოპულაციის ბიოტური პოტენციალი:

$$z = \frac{14,50-12,20}{30} = 0,07$$

როგორც ითქვა, პოპულაციის ექსპონენციალური ზრდა შედარებით იშვიათად ხორციელდება; „*b-d*“ ყოველთვის არ გამოხატავს დაღებით სიჭირეს, ხშირად კი უარყოფითია, ან 0-ს უახლოვდება.

ფრანგმა მათემატიკოსმა ვერსიულსტმა I845 წელს გამოქვა პიპორებითა, რომლის თანახმად ადამიანის პოპულაციის ზრდა შეესაბამება *S*-ის მაგვარ მრუდს; ასეთ მრუდს მან ლოგისტური უწოდა (ნახ.30). პერიოდ I925 წელს ეს მრუდი მიუსადაგა ცხოველთა ნებისმიერ პოპულაციას, რომლისთვისაც საკვები შემზღვეველი ფაქტორია, თუმცა მისი შეცვაბა მაინც მუღმივად ხდება (გასაგებია, რომ თუ საკვები რესურსების შეცვება არ მოხდა, პოპულაციის რიცხოვნობა იწყებს კლებას, სანამ არ ჰავა ნულამდე).

ადგილად დასანახია პრიციპული განსხვავება 30-ე ნახატშე გამოხატულ მრუდეებს შორის. ექსპონენციალური მრუდი ასახავს სახეობის ბიოტურ პოტენციალს, რომელიც არაა დამოკიდებული რესურსების საერთო რაოდენობაზე. რაც შეეხება ლოგისტურ მრუდს, იგი გამოხატავს პოპულაციის რიცხოვნობას რეალურ პირობებში, როდესაც რესურსები მეტნაკლებად შეზღუდულია. ამ მრუდში ცვლილება, ერთის მხრივ, სახეობის მისწრაფება მაქსიმალური გამრავლებისაკენ (ანუ ბიოტური პოტენციალის განხორციელება).

ლებისაკენ), მეორეს მხრივ კი გარემოს ზემოქმედება; რაც უფრო იზრდება პოპულაციის რცხვონობა და სიმჭიდროვე, მით ძლიერდება გამომსაზღვრული შემოქმედება. ბოლოს და ბოლოს დგება მომენტი, როდესაც პოპულაციის შემდგომი ზრდა შეუძლებელია.

პოპულაციის ექსპონენციალური ზრდა გამოიხატება ტოლობით:

$$\frac{dN}{dt} = zN, \quad \text{საიდან ას } z = \frac{dN}{dt \cdot N}.$$

ამ ტოლობაში  $dN$  გამოხატავს პოპულაციის ზრდის სიჩქარეს კონკრეტულ მომენტში,  $N$  - პოპულაციის აბსოლუტური რცხვონობაა დროის ამა თუ იმ მომენტში (გავიხსენთ შეფარდება  $\Delta N/dt$ , რომელიც გვიჩვენებს ზრდის საშუალო სიჩქარეს დროის მონაცემში).

პოპულაციის ლოგისტური ზრდა შეიძლება გამოიხატოს ტოლობით:

$$\frac{dN}{dt} = zN \left( \frac{K-N}{K} \right), \quad \text{საიდან ას } z = \frac{dN}{dt \cdot N} \left( \frac{K-N}{K} \right)$$

ეს ტოლობა ანალოგიურია ექსპონენციალური ზრდის ტოლობისა; განსხვავება მხოლოდ დამატებით სიდიდეშია  $\frac{K-N}{K}$ , რომელიც შეესაბამება გარემოს წინააღმდეგობას. მასში  $K$  - პოპულაციის რცხვონობის ზედა ზღვარია. რაც უფრო იზრდება პოპულაციის კონკრეტული რცხვონობა ( $N$ ), მით ნაკლებია  $K-N$ , სანამ იგი 0-ს არ გაუტოლდება.

იმისათვის, რომ უკეთ წარმოვიდგინოთ ექსპონენციალური ზრდა და შეფარდების  $\frac{K-N}{K}$  მნიშვნელობა, განვიხილოთ ორი პიპოთეტური პოპულაცია, რომელთაგან ერთი იზრდება ექსპონენციალურად, მეორე კი ლოგისტურად. ჩავშვათ, რომ ზრდის სიჩქარე  $\lambda = e^z = 2$ , საიდან ას ბიოტური პოტენციალი  $z = 0,69$ ; ჩავთვალოთ, რომ პოპულაციის რცხვონობის ზედა ზღვარი ლოგისტური ზრდის შემთხვევაში  $K = 100$ . იმისდა მიხედვით, თუ როგორია პოპულაციის კონკრეტული რცხვონობა, ექსპონენციალური და ლოგისტური ზრდა სხვადასხვაგვარად წარიმართება. თუ, მაგალითად  $N = 2$ , პოპულაციის ექსპონენციალური ზრდა

$$\frac{dN}{dt} = zN = 0,69 \cdot 2 = 1,38, \text{ ხოლო ლოგისტური ზრდა}$$

$$\frac{dN}{dt} = zN \left( \frac{K-N}{K} \right) = 0,69 \cdot 2 \left( \frac{100-2}{100} \right) = 1,35$$

  
 თბილისის  
შემოქმედი უნივერსიტეტი

როგორც ვხედავთ, მიუხედავად დაბალი საწყისი რიცხოვნობისა, ექსპონენციალურ და ლოგისტურ ზრდას შორის მაინც შეიმჩნევა განსხვავება. რაც უფრო იზრდება პოპულაციის რიცხოვნობა, მით მეტია ეს განსხვავება, რაზეც მიტყველებს ქვემოთ მოტანილი მონაცემები  $N$ -ის თან მნიშვნელობით.

$N$	ექსპონენციალური ზრდა	ლოგისტური ზრდა
10	6,9	6,21
50	34,5	17,25
90	62,1	6,21
100	69	0

ამგვარად, პოპულაციის ერთი და იგივე რიცხოვნობისას, ექსპონენციალური და ლოგისტური ზრდა სხვადასხვაგვარია;  $N$ -ის ზრდასთან ერთად ექსპონენციალური ზრდა მატერიობს, ხოლო ლოგისტური კლებულობს.

30-ე ნახატზე მოტანილი ექსპონენციალური მრუდი ასახავს პოპულაციის რიცხოვნობის ცვლილებას საწყის ეტაპზე. ცხადია, ასეთი ზრდა უსასრულოდ ცენტ განხორციელება; აღრე თუ გვიან თაცს იჩენს მაღიმიტირებული ფაქტორები, რომელთა მოქმედებით პოპულაციის ზრდა წყდება. ლოგისტური ზრდის შემთხვევაში სიმჭიდროვის მატება პროპორციულია გარემოს უცუმოქმედებისა. ამიტომ პოპულაციის ზრდის სიჩქარე თანდათან უცემა და ბოლოს ისიც წყდება. ცალკეულ შემთხვევებში შეიმჩნევა სიმჭიდროვის ზრდისა და მაღიმიტირებული ფაქტორების ზემოქმედების შეუთავსებლობა ღრმში, რის შედეგად პოპულაციის რიცხოვნობა სკილება ზედა.

დასაშუალებ ზღვარს. მაგრამ ეს დიდხანს არ გრძელდება და როცხოვთაბა  
სწრაფად უბრუნდება გარემოს ტევადობის დონეს.



## 5. რაოდენობრივი მერყეობა ბუნებრივ პოპულაციებში

ზემოთ მოცემისი მონაცემები პოპულაციების დინამიკის შესახებ  
ეფუძნება უპირატესად ლაბორატორიულ დაკვირვებებს, ან თეორიულ განზო-  
გადოებებს. ნებისმიერი თეორიული დასკვნა, როგორი დახვეწილიც არ უნ-  
და იყოს იგი, ბოლომდე ვერ ასახავს ბუნებრივ პროცესებს. ამიტომ მათი  
გადატანა ბუნებრივ მოვლენებზე, შესაბამისი კონექტივების გარეშე,  
არამართებულია. მეორეს მხრივ, ბუნებრივი პოპულაციები ნებისმიერ მო-  
მენტში მრავალრიცხოვანი ფაქტორის ერთობლივ ზემოქმედებას განვიდიან,  
რისი გათვალისწინება ექსპერიმენტის პირობებში ასევე შეუძლებელია.  
შესაბამისად, ბუნებრივი პოპულაციების დინამიკის შესწავლა საშუალე-  
ბას გვაძლევს, ერთის მხრივ, ავსახოთ რეალური სურათი, მეორეს მხრივ,  
კორექტივები შევიტანოთ თეორიულ დასკვნებში და, საბოლოო ჯამში, დავა-  
მუშავოთ პოპულაციის ზინამიკის სრულყოფილი მოდელი.

ბუნებრივი პირობები იშვიათადაა ისეთი სტაბილური, როგორც ლა-  
ბორატორიული. საკვები, კლიმატი, მციცებლები, რომლებიც განსაზღვრა-  
ვენ ორგანიზმთა გადარჩენის უნარს, მუდმივ ცვლილებას განცემიან და  
სხვადასხვა ინტენსივობით ზემოქმედებენ პოპულაციაზე. შესაბამისად,  
პოპულაციის სიდიდე დამოკიდებულია, ერთის მხრივ, გარემო პირობების  
მერყეობაზე, ხოლო, მეორეს მხრივ, კვით პოპულაციის უნარზე, შეინარ-  
ჩუნოს ოპტიმალური რიცხოვნობა და სტრუქტურა.

თანამდებობის რიცხოვნობა მნიშვნელოვანი ფაქტორია არა მხოლოდ მო-  
ცემული პოპულაციისათვის, არამედ იმ ბიოჭრობისთვისაც, რომლის წევრი-  
ცად იგი. სხვადასხვა სახეობის ხანგრძლივი თანაარსებობა მხოლოდ მა-  
შინაა შესაძლებელი, როდესაც მათი რაოდენობრივი თანაფარდობა ნორმის  
ფარგლებში მერყეობს. ამიტომ ყველა ბარიერი, რომელიც ზღუდავს პოპუ-

ლუციების უზომო გაზრდას, შენარჩუნებულია და განმტკიცებული ბუნებრივი გადარჩევის მოქმედებით.


მრავალრიცხოვანი მოსაზრება პოპულარიტეტის რიცხოვნობისა და მერყეობის მიზეზთა შესახებ პირობით შეიძლება გაიყოს 3 ძირითად ჯგუფი:

I. აცტორთა ნაწილი (პოდენცეიმერი, უცაროვი, ანდრევარტა, ბირჩი და სხვ.) თვლის, რომ რიცხოვნობის კვლევებაში ძირითადია კუმიმატური ფაქტორები; ბიოტური ფაქტორების - საკვების, პარაზიტების, ბუნებრივი მქრების, დაავადებების და სხვათა მნიშვნელობა მეორეხარისხოვანია;

2. სხვა აცტორთა (ლოტკა, ვოლტერი, ნიკოლსონი, სმიტი და სხვ.) მიხედვით, რიცხოვნობა დამოკიდებულია მხოლოდ იმ ფაქტორებზე, რომლებიც განსაზღვრავენ პოპულაციის სიმჭიდროვეს;

3. შუალედური პოზიცია უკავიათ მიღწეს, ნაუმოც და ზოგიერთ სხვა ეკოლოგს. ისინი რიცხოვნობის მერყეობას ორი ჯგუფის ფაქტორებით ხსნიან. მათგან ზოგი (მტაცებლები, პარაზიტები, სახეობათაშორისი და შიდასახეობრივი კონკურენცია) დაკავშირებულია პოპულაციის სიმჭიდროვესთან; სხვა ფაქტორები (კლიმატური, ჰიზიცურ-გეოგრაფიული და ა.შ.) სიმჭიდროვისაგან დამოკიდებლად მოქმედებენ.

აღნიშნულ შეხედულებათა ერთ-ერთი ვარიანტია ფაქტორთა თანმიმდევრული მოქმედების პრიცეპი, დამუშავებული საბჭოთა ენტომოლოგის ციცქონოვის მიერ I967 წელს (ნახ.32). აცტორის აზრით, მწერების მრავალ ჯგუფში პოპულაციების დინამიკას რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს: შედარებით დაბალი რიცხოვნობისას - მტაცებელი მონოფაგები; შემდგომ ეტაპზე - სპეციალიზირებული პარაზიტები, რომლებიც მასობრივად მხოლოდ მაშინ მრავლდებიან, როდესაც მასპინძელ ორგანიზმთა რიცხოვნობა მაღალია. სიმჭიდროვის შემდგომი მომატებისას იზრდება პოპულაციაში ინფექციურ დაცვალებათა აღმოცენებისა და გაცრცელების შესაძლებლობა. ამასთან ერთად მოქმედებაში მოდის „პომეოსტაზის შიგაპოპულაციური მექანი-



ნახ.32. მწერების რიცხოვნობის განვითარების ძირითად  
მექანიზმთა აქტიონების ზონები;  
ვიქტოროვის (1967) მიხედვით

ზონები“. პოპულაციის უკიდურესი გაზრდა იწვევს საკვები რესურსების ამოწურვას, რასაც მოყვება რიცხოვნობის მცველი დაცვა.

რიცხოვნობის რეგულირების აღნიშნულ სქემას მრავალი აცტორი ზე-  
ტის მეტად გაუმრალოებულ მიიჩნევს; სხვები ანალოგიურ სქემებს საერ-  
თოდ უარყოფენ, რაღაც მცნობან, რომ პოპულაციის რიცხოვნობა და მისი მერყეობის ხასიათი დამოკიდებულია არა ცალკეულ ფაქტორებზე, არამედ მათ ერთობლიობებზე, რომლებიც, საარსებო პირობების შესაბამისად, სხვადასხვაგვარად მოქმედებენ. წოვორც აღნიშნავს ოდუმი (1975), ხშირ შემთხვევაში ჩვენ არ შეგვიძლია ფაუნტურული მიზეზების დაღვენა და

იძულებული ვართ დაცუმაყოფილებით მხოლოდ ფაქტების კონსტატაციით. თუ გაცაანალიზებთ შესაბამის მონაცემებს, შეიძლება გამოყოფო ბუნებრივი პოპულაციების ღინამიკის არი ძირითადი ტიპი: 

I - როდესაც პოპულაციების ღინამიკას არა აქვს ციკლური ხასიათი. იმისდა მიხედვით, თუ რომელი სისტემატიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან გვაქვს საქმე, ღინამიკა სხვადასხვაგვარად ვლინდება. სახეობათა ნაწილი გარემო პირობების ცვლილების მიუხედავად, შედარებით სტაბილურია; სხვები გარემოს ნებისმიერ ცვლილებაზე რეაგირებენ, ამიტომ მათი რეცხოვნობა მუდმივ მერყეობს განვიდის;

II - როდესაც პოპულაციის ღინამიკას, გარემო პირობების ცვლილების მიუხედავად, ციკლური ხასიათი აქვს. ერთ შემთხვევაში, რეცხოვნობა ხასიათდება მცველრად გამოხატული შერყეობით სეზონების მიხედვით; მეორეში - მისი მცველი მომატებელი და დაუემა რამოდენიმე წლის ინტერვალით მეორდება.

ღინამიკის I ტიპი დამახასიათებელია ხანგრძლივად მცხოვრები ცხოველებისათვის, რომელთაც გააჩინათ უადარწიერის მაღალი უნარი და უაბალი ნაყოფიერება; პოპულაციები ხასიათდებიან რაღული ასაკობრივი სტრუქტურით, თრგანიზმთა შორის კარგადაც გამოხატული შთამომავლობაზე ზრუნვის ინსტინქტი. მაგალითად, მსხვილ ჩლიქოსნებს პერიოდულებიული და რეპროდუქტიული პერიოდები ხანგრძლივი აქვთ, ამიტომ მათ პოპულაციებში შედარებით ახალგაზრდა ინდიკირდების წილი ყოველთვის მაღალია; შესაბამისად, გამრავლება რეგულარულად ხორციელდება, ხოლო ზობადობის ხანგოვლება დაყოვნება თითქმის ყველა გაცლენას პოპულაციის სტრუქტურასა და რეცხოვნობაზე.

პოპულაციის არარეგულარული ცვლილების მაგალითს ასახავს 33-ე ნახატი. როგორც ჩანს, რეხი ყანჩას (*Ardea cinerea*) პოპულაციების რეცხოვნობა დიდი ბრიტანეთის არ პუნქტის წლების მანძილზე ძირითადად მსგავსი იყო; ძლიერი ყინვების წლებში (1940-47 და 1962-63) ადგილი ჰქონდა რეცხოვნობის ფარგლებას, თუმცა ყველა შემთხვევაში რეცხოვნობა ნორმას უბრნდებოდა.

დინამიკის ციკლური ხასიათის მაგალითია ცხვრის პოპულაციის ცვლილებაზე ტასმინიაზე. მას შემდეგ, რაც ის ცხოველი აქ დატვირდა, მისი რცხოვნობა I920 წლიდან მუდმივი, მაგრამ „არაკანონური მიმკვეთის გეოპას განცდილა.

დინამიკის იგივე ტიპი დამახასიათებელია ორგანიზმებისათვის ხან-მოკლე სცოცხლით, მაგრამ მაღალი რეპროდუქტიული უნარით. მაგალითად, მრავალი ერთულურებიანის სცოცხლის ხანგრძლივობა რამოდენიმე დღით განისაზღვრება, ამიტომ პოპულაციის განახლება სწრაფად ხორციელდება. გარემოს ნებისმიერ ცვლილებაზე ისინი სათუთად რეაგირებენ; შესაბამისად, მათი რცხოვნობა დროის შედარებით მცირებ მონაკვეთშიც კი მცველ ფლექტურულციას განცდის.

სშირ შემთხვევაში, რაც უფრო მრავალრიცხოვანია პოპულაცია, მით უფრო სათუთად რეაგირებს იგი გარემოს უარყოფით ცვლილებებზე. ასე, თბილისის მიდამოებში ჩვეულებრივი ტრიტონის პოპულაციათა რცხოვნობა რამდენიმეჯერ აღმატება მცირეაზიური ტრიტონისას, მაგრამ I983-84 წლებში ციფი ზამთრის უარყოფით ზემოქმედება პირველ რიგში ჩვეულებრივი ტრიტონის პოპულაციებს დაეტყოთ (იხ. ცხრილი I5).


#### ცხრილი I5

მცირეაზიური და ჩვეულებრივი ტრიტონების რცხოვნობის  
ცვლილება I983-85 წლებში


თარჩნიშვილის (I988) მიხედვით

წლები	მცირეაზიური ტრიტონი		ჩვეულებრივი ტრიტონი	
	I წყალსატევი	II წყალსატევი	I წყალსატევი	II წყალსატევი
I983	$105 \pm 23$	$100 \pm 36$	$333 \pm 50$	$462 \pm 120$
I984	$132 \pm 57$	$60 \pm 33$	$162 \pm 51$	$121 \pm 34$
I985	$65 \pm 14$	$71 \pm 17$	$168 \pm 34$	$167 \pm 25$

თუ ორგანიზმთა სცოცხლის ხანგრძლივობა თვეებით განისაზღვრება, ხოლო წლის მანძილზე ერთმანეთს რამდენიმე თაობა ენაცვლება, პოპულაციის განცდილებაზე ტასმინიაზე დატვირდა, მაგრამ „არაკანონური მიმკვეთის გეოპას განცდილა.



ნახ.33. რუხი ყანჩას რიცხოვნობის ცვლილება დიდი  
ბრიტანეთის ორ პუნქტში;  
ლეკის (1966) მიხედვით





ნახ.34. თრიფსების სეზონური დინამიკა ქ. აღმოსავანის  
მახლობლად; რიცხოვნობის (1979) მიხედვით

ციის რკუხოვნობა, პირველ რიგში, წლის დროზეა დამოკიდებული - ხელა-  
ყრელ თვეებში რკუხოვნობა მცველობა იზრდება, არახელსაყრელ პერიოდებ-  
ში კი მცირდება. ამ მხრიც საინტერესოა თრიფსების ერთ-ერთი უძველესი  
(*Triops imago*) სეზონური დინამიკა ქ. აღვლაიდის მასლობლად (აცსრა-  
ლია), სადაც ეს ჭორმა ცნობილია, როგორც დეკორაციული კულტურების მა-  
ცნებელი. აღვლაიდიაში ხელოთაშუაზღვისეული კლიმატია - ზამთარში ციცა,  
ზაფხულში გვალვად და სუსე. სამაგიეროდ გაზიაფხულზე მაცნებლისათვის  
სავსებით ხელსაყრელი პირობებია - ოპტიმალური ტენიანობა და ტემპერა-  
ტურა, საკუების სიუხვე და ა.შ. ამის გამო წლის ვანძილზე თრიფსის  
რკუხოვნობა ციკლურ ცვალებადობას განვიდის: რკუხოვნობის მკვეთრი  
ზრდა (გაზიაფხულზე) ენაცვლება უცარ დაცვემას ძლიერი გვალვებისა და  
ყინვების პერიოდში (ნახ.34).

35-ე ნახატი გვიჩვენებს კოლოების წლიურ დინამიკას ტროპიკებში  
(კოლუმბია). როგორც ჩანს, 7 სახეობიდან მხოლოდ ერთი არ რეაგირებს  
გარემოს ცვალებადობაზე; დანარჩენ სახეობათა წლიური დინამიკა თითქ-  
მის იდენტურია, რაც იშავი გამოიჩატება, რომ მაქსიმალურ რკუხოვნობას  
პოპულაცია მაის-ივნისში აღწევს.


ხანგრძლივად მცველოვრები თრგანიზმებისათვის (პირველ რიგში, ფრი-  
ნცველებისა და ძუძუმწოვეართობობის) დამარასიათებელია დინამიკის მრავალ-  
წლიანი (3-დან 10 წლამდე) ციკლი. მაგალითად, კანადაში ფოცხვერის პო-  
პულაციის რკუხოვნობა ყოველ 9-10 წელიწადში ერთხელ მცველობას მატულობს.  
თანაც შემჩნეულია, რომ მტკცებლის რკუხოვნობის ცვლილება ემთხვევა  
მისი ძირითადი მსხვერპლის - კურდღლის რკუხოვნობას (ნახ.36).

ეკოლოგებს შორის არაა ერთანი აზრი ამ მოვლენის მიზეზების შე-  
სახებ. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ფოცხვერისა და კურდღლის რკუხოვნო-  
ბა ურთიერთკერძილია: კურდღლის პოპულაციის ზრდა განაპირობებს მტკცე-  
ბლის რკუხოვნობის მატებას. საკუები რესურსების ამოწურვის შემდეგ,  
კურდღლის რკუხოვნობა სწრაფად უცემა, რაც, თავის მხრიც, განაპირობე-  
ბს ფოცხვერის რკუხოვნობის დაქვეითებას. როდესაც მტკცებლის პოპულა-



ნახ. 35. კოლონების შვიდი სახეობის სეზონური ღინამიკა  
აღმოსაფლეთ კოლუმბიაში;

ბერტსის (1945) მიხედვით



ნახ. 36. კურტოლისა და ფლეხერის პოპულაციების  
როგორცნობის მერყეობა კანადაში;  
შაპ-ალიჩის (1937) მიხედვით

Աղօ Յոննիմշամնե գացա, ხոլով սակազնի աղջիքի, կուրդլուս հոգեառնոბա պալաց ո՞չպեմ թագրիմաս գա ուկոն ցանաթուղիմա.

Թուշութակած գա թեսեցրելուս յուրտուրտոնձաս ֆոնը պատրիա ար մոնինց վատո ուկուրդի հոցեառնոնձաս յորտագ ըրտ թիջեթագ. սայմե օմաւուա, րոմ կուրդլուս հութուրութելուն թութենցուալո ծեպրագ աղջիմակնեմի գոցեառնոնձաս. ամուռմ ամ շուտաճասկունուս թութուրուցուա զեր ցանիթուղիմա օւշտո սուսվիրացու, րոմ ցանապորտոնձաս կուրդլուս հոցեառնոնձաս թիցետուրուս մուզերու գացում. ամուս ցարգա, գոցեառնոնձաս հոցեառնոնձաս օմուսա, րոմ համորիբուղուս թաս. դածունուս, աղսանունացու օւշու, րոմ ֆոնցուրտ կուրդլութիւ, սագիւ գոցեառնու ար արուս, կուրդլուս հոցեառնոնձաս գունամուր օւշտուցու, հոգուրու թագրիմուչի.

Արուս թուսաթուղիմա, րոմ կուրդլուսա գա գոցեառնոնձաս հոցեառնոնձաս ուղարկութա ցանպորտեթուրուցուա սակազնի հուսուրսցեմուտ. սակազնի հառագենոնձաս գա թարուսենուս թիմուրութիմա օ՞չուպէս կուրդլուս հոցեառնոնձաս մուզետն ապշեցուցիմա. սեցեմուս անուտ, հոցեառնոնձաս 9-10-թուրունու ուկութիմու գապացմունուցուա կուսմունի թութուրունուտան, սաեղանան թիւուս այնուցունուս ցուլաստան. ասետո զարալուս սասարցեթուրու թեմուցունուցուա սեցա ցեսունուս հոցեառնոնձաս անալոցուրու սերատու, րոմելու արագ գապացմունութիմա արպ թըմացուցիմա, արզ սակազնի.

Շուկու եանթուրու ուկութիմու գապաթասուաւեթուրու տացուսնակութատուս. 3-4 թութուրութիմու յորտեւլ հիրդուութ ամերկուսա գա ցուրածունուս կունդրալու ագաջու օյցէս լումունցունուս (Հզար *Lemus*-ուս 2 սաեցուա ցուրածունու, յորտո սաեցուա հիրդ. ամերկութիմու գա ցուրածունու *Diccostonyx* -ուս յորտո սաեցուա հիրդ. ամերկութիմու) հոցեառնոնձաս կագասեմունուն ֆրութա. յս ցանապորտեթիմու հիրդուութուս թելաս (*Alopex lagopus*) գա թութուրունուն ծուս (*Nyctea scandacar*) հոցեառնոնձաս մուզետն թութուրունուն. թեսեցրելուս գա թուշութեթիմու հոցեառնոնձաս գապացմա ասեցու յորտեցուա յորտմանցուս - հիրդ. մելաս գուրու նայու աղցուրութիմա լութեթիմա, ծու կո մոցրուրութիմու սամերգուսացըն. անալոցուրու յուրտուրտութիմա թիմունուն, յորտո թերուց, թեմունցուրութիմուս (*Microtus*),




მეორეს მხრივ კი მელასა (*Urætes fulva*) და ლაუსი (*Lanius excubitorius*) პოპულაციებს შორის ტაიგაში.

პოპულაციის რცხვონბის ცვლილებაში საკვების ხარისხის შეზღუდვების შესახებ შემოგვი ფაქტი მეტველებს: 50–60-იან წლებში ალიას-კაზე შეისწავლებოდა ლემინგის რცხვონბის დინამიკა და მისი განვითარები ფაქტორები. დადგინდა, რომ თითოეული ციკლი მეორდება 4–5 წელიწადში ერთხელ. ზამთარში, თოვლის საფარის ქვეშ, რცხვონბა მკვეთრად ვავამა, რაც მტკვებლების რაოდენობას მეტველებს. მაგრამ რცხვონბის მერყეობის ძირითადი მიზრი მარც საკვებ მცენარეთა ხარისხი გამოდგა; პოპულაციათა სიღილე ხშირ შემთხვევაში ემთხვეოდა ცილების შემცველებას ჭვენარებში. მაგალითად, მაქსიმალური რცხვონბის ჯროს I960 წელს ( $I25 \text{ ინდ./კმ}^2$ ) ცილების რაოდენობა (%) მცენარეებში შეადგინდა 22-ს; მომდევნო წლებში ეს მაჩვენებელი შემდგენაირად უვალდოა: I961 წელს –  $2,5 \text{ ინდ./კმ}^2$  (14%), I962 წელს –  $10 \text{ ინდ./კმ}^2$  (17%), I963 წელს –  $50 \text{ ინდ./კმ}^2$  (15%) და ა.შ.

მოგვყავს პოპულაციების ციკლური მერყეობის კიდევ რამდნიმე მაგალითი: ნაძვის მხერჩავი (*Driino Bohemicus*) ევროპიდან კანადაში დაახლოებით I930 წელს შეიტანეს. I938 წლისათვის იგი ფართოდ გავრცელდა ზღვისპირა პროექტებში, საღავა სერიოზულ ზარალს აყენებდა ნაძვნარს. დაახლოებით 20 წლის მანძილზე რეგულარულად აღირცხული მხერჩავის რცხვონბა. დადგინდა, რომ ყოველი ციკლის ხანგრძლივობა შეადგენდა 5–6 წელს; რცხვონბის მკვეთრი მატება აღინიშნებოდა მატლის სტადიზე, რომლის რეგულირებას ახდენდა პარაზიტი ექსენტერუსი (*Exenterus sp.*). პარაზიტის აქტივობა პირდაპირ კაბშირში აღმოჩნდა მხერჩავის პოპულაციის სიმჭიდროვესთან – მის ზრდასთან ერთად იზრდებოდა პარაზიტის ეფექტურობა.

37-ე ნახატი ასახავს პეპლების ორი სახეობის რცხვონბის დინამიკას ევროპაში. როგორც ჩანს, მინიმალური სიმჭიდროვე რამდენიმე ათასჯერ აღემატება მაქსიმალურს, რომელიც მეორდება 8–12 წლის  $10 \text{ ინტერვა-$



ნახ. 37. პეპლების ორი სახეობის რცხვოვნობის მერყეობა  
ევროპაში: ზემოთ - *Buprestis* sp. ლიტუანგენის  
(გფრ) ტყეებში; ვარლის (1949) მიხედვით;

ქვემოთ - *Zeiraphera* sp. ენგაძინის (შვეიცარია)  
ფოთლოვან ტყეებში; ბალტინსკილერის (1964)  
მიხედვით

ლით. ალპებში ლარიქსის ფოთლომხვევიას რცხვოვნობის ციკლი შეადგენს 10 წელიწადს. ამ ხნის მანძილზე მავნეებლის მაქსიმალური რცხვოვნობა  
დაახლოებით 10 000-ჯერ აღტატება მინიმალურს.

კანადა, ბუნებრივ პოპულაციისთვის რცხვობრივი მერყეობის სურათი  
მხოლოდ აღწერილია არ შემოიფარგლება. სახეობრივი სპეციფიკის შესაბა-

მისად, დინამიკა შესაძლოა სხვადასხვაგვარად განხორციელდეს. როგორც  
არაერთხელ აღინიშნა, ნებისმიერი პოპულაცია რიგი მახასიათებლების  
მიხედვით განსხვავდება დანარჩენებისაგან. ეს დინამიკას შემოძიება  
რომელიც, გვიგვარტიული ფაქტორების შესაბამისად, სპეციფიკური  
თავს. ამ მხრივ პოპულაციათაშორისი განსხვავდები ისეთ თავისებურებ-  
ბებში ცვინდება, როგორცად მაქსიმალური და მინიმალური მაჩვენებლე-  
ბის ცვლა სეზონების მიხედვით, როგორცნობის პიკების ცვლილება ღრმის,  
მოკლე თუ გრძელი ციკლების ხანგრძლივობა და ა.შ. სამწურაოდ, ეს და  
მრავალი სხვა ანალიტიკი საკითხები სუსტადაა შესწავლით და თავის  
შემდგომ დასაბუთებას საჭიროებს.

### დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი

მოტანილი მონაცემები ცხადყოფენ, რომ ნებისმიერი პოპულაცია უ-  
ნძვიონირებს, როგორც ერთიანი სისტემა, რომლის თავისებურებები არსე-  
ბითად განსხვავდებიან მისი თითოეული წევრის თავისებურებებისაგან.  
ინდივიდი იბარება და კვლება, ღრმის ნებისმიერ მომენტში ხასიათდება  
ამა თუ იმ ასაკით. მაგრამ როდესაც ვლაპარაკობთ შობადობაზე, სიკვდი-  
ლიანობაზე, ასაკობრივ სტრუქტურაზე, ცხადია, ცილციულ ორგანიზმებს არ  
ვაჟულისხმობთ; ამ ცნებებს მხოლოდ მაშინ აქვთ აზრი, როდესაც საქმე  
მათ ერთობლიობებთან გვაქვს.

ჩვენ მიერ განსილული პოპულაციური მოცულები რეალური პროცესე-  
ბის მხოლოდ ზოგად სურათს ასახავთ. ცხადია, ყველა კონკრეტულ შემ-  
თხვევაში ისინი სპეციფიკურად ვლინება. როგორი ერთგვაროვანიც არ  
უნდა იყოს სახეობის არეალი, მასში ცერ მოიძებნება თუნდაც ორი წერ-  
ტილი, აბსოლუტურად იღენტური საარსებო პირობებით. ეს იმას ნიშნავს,  
რომ ბუნებრივი გადარჩევის მოქმედება სახეობის არეალის ფარგლებში  
ყოველთვის განსხვავებულია. როგორც აღინიშნა, პოპულაციები წარმოად-  
გენი ბუნებრივი გადარჩევის ხანგრძლივი მოქმედების შედეგს, ამიტომ


თითოეული მათგანი მეტნაკლებად განსხვავდება დანარჩენებსაგან.  
პოპულაციების სპეციფიკურობა მრავალ (თეორიული ყველა!) მახა-  
სიათებელშიც ცლინდება, ვათ შორის ეკოლოგიურშიც, რომელთა შესახებ წე-  
ვით იყო ლაპარაკი. ცხადია, ეს უნდა გაითვალისწინონ მცვლილობაზე ეკო-  
ლოგებმა, მეტადრე იმათ, ვინც სახეობებს პოპულაციურ ძონეზე შეისწავ-  
ლიან. საყოველთაოდ აღიარებული ზოგადი დებულება – ნებისმიერი პოპულა-  
ციი მორფო-ფიზიოლოგიურად სპეციფიკურია – უთუოდ უნდა იყოს გათვალის-  
წინებული ყველა კონკრეტულ შემთხვევაში. ცხოველთა ნებისმიერი ჯგუფის  
შესწავლისას უნდა ცვლილოთ, რომ ეს დებულება ფაქტობრივი მონაცემებით  
დავადასტუროთ, მრავალფეროვან პოპულაციურ მოცემებს კი შესაბამისი  
დასაბუთება მივცეთ.

- I. Дажо Р., Основы экологии. - М., 1975
2. Захваткин Ю.А., Курс общей энтомологии. - М., 1986
3. Кацкая Г.Ш., Опыт эколого-морфологического анализа акарид Кавказа. - Тбилиси, 1975
4. Майр Э., Зоологический вид и эволюция. - М., 1968
5. Майр Э., Популяции, виды и эволюция. - М., 1974
6. Наумов Н.П., Экология животных. - М., 1975
7. Новиков Г.А., Основы общей экологии и охраны природы. - Л., 1979
8. Одум Ю., Основы экологии. - М., 1979
9. Радкевич В.А., Экология. - Минск, 1977
10. Риклефс Р., Основы общей экологии. - М., 1979
- II. Тимофеев-Ресовский Н.В., Воронцов Н.Н., Яблоков А.В.,  
Краткий очерк теории эволюции. - М., 1969
12. Чернова Н.М., Былова А.М., Экология. - М., 1981
13. Шварц С.С., Эволюционная экология животных. - Свердловск,  
1969
14. Шидловский М.В., Определитель грызунов Закавказья. -  
Тбилиси, 1962
15. Шмальгаузен И.И., Проблемы дарвинизма. - Л., 1969

- აგრეგაცია 20, 22, 24, 28, 29, 31  
39, 40
- ქალაქის 32
  - კომისიუნტი 25, 28
- აგრესია 45
- ადაპტაცია 9, 59
- ალოპატრია 62
- ანტაგონიზმი 39
- არეალი 5, 7, 9, I3, I4, 20, 2I,  
64, 65, 69-7I, 84, 85, I27
- ასაკი ეკოლოგიური 52
- პოსტრეპროდუქტიული 52
  - პრერეპროდუქტიული 52, 109
  - რეპროდუქტიული 52
- ასაკობრივი პირამიდა 90-92
- ჯგუფი 54
  - ატრაქტანტი 47
- ბიომასა 64, 65-68, 7I-73
- ბიოტიპი 62, 63
- ბიოტროპი I7, I8, 68, 70
- ბიოტური პოტენციალი 79, I08, III,  
II3, II4
- ბიოცენოზი 4, 5, I5, 7I, 86-88, I07, II6
- პროდუქტიულობა 87, 88
- ბუნებრივი გადარჩევა 5, 9, II7, I27
- ბუნებრივი ზონა 66

- 
- გადარჩენა (გადარჩენის ურთარი)  
83, 86, 93, 98, 99, 100, 102,  
107
- შეფარდებითი 96, 97
- გადარჩენის ინდექსი 95-I00
- ტაბულა 94, 96
- გამრავლების სუფთა სიჩქარე  
98 (განმარტება), 99, I00, I07
- განაწილება (ორგანიზმების) 2I-  
28
- თანაბარი 22
  - კონგრეგაციული 22
  - შემთხვევითი 2I, 22, 26, 27
  - ჯგუფური 22, 26-28
- განსახლება 85
- გარემოს ტევადობა 85, 86 (გან-  
მარტება)
- წინააღმდეგობა II4
- გენერაციის საშუალო დრო 98,  
I00, I0I
- გუნდი 34, 36 (განმარტება),  
38, 40
- დემოგრაფია 93 (განმარტება)
- დემოგრაფიული ტაბულები 93,  
99, 100
- დისპერსია შიგაპოპულაციური  
2I-26, 28, 39

- ପଦ୍ମଲ୍ଲୁଙ୍କା 9, 127  
 ପତରିଫ୍ରାଙ୍କା 71, 72  
 ପକ୍ଷୀଲେଖନକୁ 62  
 ପକ୍ଷସିସକ୍ରମା 64  
 ପଥିଗରାତ୍ମକା 52, 79, 83  
 ପରିମ୍ବରାମଦା 6, 21  
 ପାତ୍ରୀରୀଙ୍କ ଜଗତକୁ 32-34, 39, 48, 85  
 - ମାତ୍ରମଧ୍ୟରୀଙ୍କ 33  
 ପର୍ଯ୍ୟନ୍ତରେଣ୍ଟିକାଲ୍ୟରି ଶର୍ଦା 108, 110-113  
 - ମର୍ମାଙ୍କିଳା 108, 110, III, III  
  
 ପାର୍ତ୍ତିକାଲ୍ୟରି ସାରତ୍ତ୍ୟାଲି 66  
 ପାର୍ତ୍ତିକାର-ସାମାଜିକ (ମାତ୍ରମଧ୍ୟରୀଙ୍କ ବିବିଧ-  
ମେଧିକା) 101-103  
  
 ପିନ୍ଧାଙ୍କା 71, 73  
  
 ପିତ୍ତମାନାନ୍ଦି ହୋଗରାତ୍ମକାଙ୍କ 9-13  
 ପିତ୍ତମାନାନ୍ଦି ସ୍କ୍ରିପ୍ଟରିଙ୍କା 8  
 - ଆରିକାନାନ୍ଦି 8-II, 13, 34, 39, 40  
 ପିତ୍ତମାନାନ୍ଦି 62  
 ପଥିଗରାତ୍ମକା 52, 79, 83  
 ପିନ୍ଧାଙ୍କମାତ୍ରକା (ଶିଳ୍ପାକାମିତ୍ୱାଙ୍କାଙ୍କା)  
45, 46  
 - ଅପ୍ରାଚିକାଙ୍କା 45  
 - ନାନ୍ଦାନାନ୍ଦାଙ୍କା 45, 46  
 - ନାନ୍ଦିକାଙ୍କା 45, 46  
  
 ପାନିବାଲାଙ୍କିମା 53, 60  
 ପାଶକା (ସାଂକ୍ଷାରିକାଙ୍କାଙ୍କା ମହିର୍ରେଶି) 55
- ପାନିନିଃମିକା 15, 22, 34, 36, 55  
 ପାନ୍ଦ୍ରାଶ୍ରେଣ୍ଟିକା 28, 29, 40  
 - ସାର୍ବବନ୍ଦାତାଶିଳ୍ପିଙ୍କା 17 ମାର୍ଗବିଦ୍ୟା  
 - ଶିଳ୍ପାଶ୍ରେଣ୍ଟିକା 117  
 ପାନ୍ଦ୍ରାଶ୍ରେଣ୍ଟିକା II, 14  
 ପାନ୍ଦ୍ରାଶ୍ରେଣ୍ଟିକା 93 (ଗାନ୍ଧାରାଙ୍କାଙ୍କା), 95
- ପାନ୍ଦ୍ରାଶ୍ରେଣ୍ଟିକା ଜଗତକୁ 37, 38  
 ପାନ୍ଦ୍ରାଶ୍ରେଣ୍ଟିକା ମର୍ମାଙ୍କିଳା 109  
 - ମର୍ମାଙ୍କିଳା 109, II3
- ପାନ୍ଦ୍ରାଶ୍ରେଣ୍ଟିକା ସିବିକ୍ରମା (ଲେସଲିକା)  
101, II0
- ପାନ୍ଦ୍ରାଶ୍ରେଣ୍ଟିକା 62, 63, 69  
 ପାନ୍ଦ୍ରାଶ୍ରେଣ୍ଟିକା 47  
 ପାନ୍ଦ୍ରାଶ୍ରେଣ୍ଟିକା 74  
 ପାନ୍ଦ୍ରାଶ୍ରେଣ୍ଟିକା I6, 33, 64, 76, 83  
 - ପାନ୍ଦ୍ରାଶ୍ରେଣ୍ଟିକା 37  
 - ପାନ୍ଦ୍ରାଶ୍ରେଣ୍ଟିକା 37  
 ପାନ୍ଦ୍ରାଶ୍ରେଣ୍ଟିକା 50  
 ପାନ୍ଦ୍ରାଶ୍ରେଣ୍ଟିକା 117  
 ପାନ୍ଦ୍ରାଶ୍ରେଣ୍ଟିକା (ଶିଳ୍ପାକାମିତ୍ୱାଙ୍କାଙ୍କା) 57-59,  
6I
- ପାନ୍ଦ୍ରାଶ୍ରେଣ୍ଟିକା-ପାନ୍ଦ୍ରାଶ୍ରେଣ୍ଟିକା ଜଗତକୁ 62  
 ପାନ୍ଦ୍ରାଶ୍ରେଣ୍ଟିକା ନାନ୍ଦିକାଙ୍କା 37, 42,  
44, 45  
 - ନାନ୍ଦିକାଙ୍କା 46  
 ପାନ୍ଦ୍ରାଶ୍ରେଣ୍ଟିକା I6, 30, 34, 5I, 54,  
60, 79, 80, 82, 86, 87, 93-95, 99-  
102



- ମାତ୍ରାବୀଳୀ 34, 55
- ମାତ୍ରାବୀଳୀରେ 34
- ମଧ୍ୟଦିର୍ଘବୀଳୀ 34
- ଶ୍ଵେର୍‌ପୁଣି 34
  
- ପାନ୍ଥିମିକ୍ସିଙ୍କା 5
- ପାର୍ଶ୍ଵବୀଳୀ 62, 63
- ପାଲାନ୍ତ୍ରିକାରୀ 70
- ପାଲାଗବାବିଙ୍କା 50
- ପାଲାଗମନାର୍ଥିକାରୀ 48, 50, 55, 57-64
- ପାଲାପ୍ରାପ୍ତିକାରୀ 54
- ପାଲାପ୍ରାପ୍ତିକାରୀ 3, 5 (ଗାନ୍ଧାରାରୁହିପା), I3, I6, I9
  - ଅଧିକାଳାବିନ୍ଦିକାରୀ 14, 15
  - ଶ୍ଵେର୍‌ପୁଣି 14
  - ଧାର୍ମପାଦୀକାରୀ 18
  - ଧର୍ମବିଦିତୀ 18
  - ଏକାନ୍ତାନ୍ତିକାରୀ 14
  - ଲାବାନାନ୍ତିକାରୀ 20, 78, 80, I05-I07
  - ନାଥପାଦାନ୍ତିକାରୀ 18
  - ପାଲାଗମନାର୍ଥିକାରୀ 62
  - ସନ୍ତାପିଲାକାରୀ 5I
  - ପାଲାପ୍ରାପ୍ତିକାରୀ ଆଶାକାରିକାରୀ ସନ୍ତର୍ମନିକାରୀ I0I, II9
    - ଆଶାକାରିକାରୀ ଜ୍ଞାନୀୟ 54
    - ଧର୍ମପାଦାନ୍ତିକାରୀ ସନ୍ତର୍ମନିକାରୀ 50
- ଧର୍ମବିନ୍ଦିକାରୀ 20, 78, 79, I16, I17, I19
  - - ସପ୍ତମିନ୍ଦ୍ରିୟ 119, I22
  - - ପ୍ରପାତିକାରୀ I22
  - ରାଷ୍ଟ୍ରବୀଳୀରୀ I4, 20, 2I, 33, 50, 64-68, 75-80, 96, I02, III
    - - ଶ୍ଵେର୍‌ପୁଣି 68, 74
    - - ଫ୍ରାନ୍କିଲନ୍‌କୁଣ୍ଡିଲ୍‌କାରୀ I18, I20
    - ସିମ୍ବିଲର୍ମାତ୍ର 20, 25, 3I, 32, 33, 48, 60, 64, 66, 83, 85, 86, I15
    - - ପାଲାନ୍ତ୍ରିକାରୀ (ପାଲାପ୍ରାପ୍ତିକାରୀ) 69-7I
    - - ସାମ୍ରାଜ୍ୟ 69, 7I
    - ପାଲାପ୍ରାପ୍ତିକାରୀ କ୍ରମିକାରୀ 9
  - ରାଜା ଶ୍ଵେର୍‌ପୁଣି 13
  - ଏକାନ୍ତାନ୍ତିକାରୀ 6I
  - ରୋଗଶାଳାକ୍ରିଯାରୀ ଶର୍ଦୀକାରୀ 48
  - ରେଲିଓର୍‌କାରୀ 6
- ସିକ୍ଷିତାଳିକାରୀ 43, 50-54, 64, 69, 76, 79, 82-85, 89, 93, 95, 97, I06, I08
  - ଅନ୍ତର୍ମାନ୍ତିକାରୀ 96
  - ଏକାନ୍ତାନ୍ତିକାରୀ 82
  - ପାଲାପ୍ରାପ୍ତିକାରୀ I05, I06
  - ସମ୍ବନ୍ଧବୀଳୀ 48, 49
  - ସନ୍ତର୍ମନିକାରୀ 69, 72

- ଶିଲ୍ପୀରଙ୍ଗନରେବି 46  
 ଶ୍ରୀରାମକୃତିରିକୁଳମଦା 39, 4I (ଗାନ୍ଧାରଟିଏବା),  
 42, 85
- ଫାଫୁନ୍ଦିରେବି (ଗାର୍ଜମୀସ) 9  
 - ଅବିନାଶିକ୍ଷଣ 3, 64  
 - ଅନନ୍ତମପାତ୍ରଗ୍ରେନ୍ଦ୍ରାନ୍ତିରୀ 69  
 - ବିନାଶିକ୍ଷଣ 117  
 - ପ୍ରକଳନଗୋପି 54  
 ଫ୍ରେନ୍କମିଲ୍ଡି 9  
 ଫ୍ରାନ୍କମିଲ୍ଡାନ୍ତିରୀନ୍ଦ୍ରାନ୍ତିରୀ 70  
 ଫ୍ରାନ୍କମିଲ୍ଡାନ୍ତିରୀଗୋ 7I, 72  
 ଫ୍ରେନ୍କମିଲ୍ଡାନ୍ତିରୀପ୍ରାନ୍ତିରୀ 18
- ମୁଖ୍ୟମା ଶ୍ରୀରାମକୃତିରିକୁଳମଦା 44
- ଶିଳ୍ପବାଦମଦା 20, 50, 52, 76, 79,  
 82-86, 107, 109  
 - ପ୍ରକଳନଗୋପି 80, 8I  
 - ମାର୍କସିସିଥାଲ୍ମାନ୍ତିରୀ 80, 8I
- ଉପାଲ୍ବିଦୀଧନମଦା ହୈନଗରପାତ୍ରଗୁଣି 13, 14  
 - ଅବିନାଶିକ୍ଷଣ 49  
 - ପାତ୍ରଗୁଣାତ୍ମକୁଳମଦା 107  
 - ରାଜଧାନୀନମଦରିକ୍ଷଣ 49  
 - ଫାଶିଶ୍ରାନ୍ତିରୀ 32
- ମିଲ୍କ୍‌ରୀମ୍‌ବି 52
- ଶର୍ମିତା 15, 34, 36 (ଗାନ୍ଧାରଟିଏ-  
 ବାନ୍ଦା), 37  
 - ପ୍ରେମପାତ୍ରଗ୍ରେନ୍ଦ୍ରାନ୍ତିରୀ 36  
 - ଲକ୍ଷ୍ମୀରାମାନ୍ତିରୀ 36
- ଜୁଗି 15, 24, 37 (ଗାନ୍ଧାରଟିଏ-  
 ବାନ୍ଦା), 39
- ପ୍ରେମପାତ୍ରଗ୍ରେନ୍ଦ୍ରାନ୍ତିରୀ 18  
 ପିଲାରମଦାନ୍ତିରୀ 28  
 ପାରିମ୍ବନୀପାତ୍ରଗ୍ରେନ୍ଦ୍ରାନ୍ତିରୀ 2I, 117



## শিক্ষাবিষয়ক

## I প্রশ্নালভিত্তিক প্রশ্ন ও উত্তর

I.	প্রশ্নালভিত্তিক, রেখাগতিক সাধেয়োბিস অন্তর্ভুক্ত প্রশ্ন	৫
2.	সাধেয়োబিস অন্তর্ভুক্ত এবং প্রশ্নালভিত্তিক সাধেয়োబিস প্রশ্ন	৯
3.	প্রশ্নালভিত্তিক অন্তর্ভুক্ত প্রশ্ন	১৪
II	প্রশ্নালভিত্তিক সাধেয়োబিস স্কুলজীবন	২১
1.	প্রশ্নালভিত্তিক সাধেয়োబিস স্কুলজীবন	২১
2.	অগ্রহায়ী প্রশ্ন এবং জগতের প্রশ্ন	২৯
3.	গণিতালভিত্তিক, প্রযোগিক প্রশ্ন এবং প্রশ্নালভিত্তিক সাধেয়োబিস	৩৯
III	প্রশ্নালভিত্তিক প্রশ্ন এবং প্রশ্নালভিত্তিক প্রশ্ন এবং প্রশ্নালভিত্তিক প্রশ্ন	৪৮
IV	প্রশ্নালভিত্তিক প্রশ্ন এবং প্রশ্নালভিত্তিক প্রশ্ন	৬৪
	১. প্রশ্নালভিত্তিক প্রশ্ন	৭৫
V	প্রশ্নালভিত্তিক প্রশ্ন	৭৮
1.	প্রশ্নালভিত্তিক প্রশ্ন	৭৯
2.	প্রশ্নালভিত্তিক প্রশ্ন	৮৫
3.	প্রশ্নালভিত্তিক প্রশ্ন	৮৯
a)	প্রশ্নালভিত্তিক প্রশ্ন	৯০
b)	প্রশ্নালভিত্তিক প্রশ্ন	৯৩
c)	প্রশ্নালভিত্তিক প্রশ্ন	১০১
4.	প্রশ্নালভিত্তিক প্রশ্ন	১০৮
5.	প্রশ্নালভিত্তিক প্রশ্ন	১১৬
	১. প্রশ্নালভিত্তিক প্রশ্ন	১২৭
২.	প্রশ্নালভিত্তিক প্রশ্ন	১২৯
৩.	প্রশ্নালভিত্তিক প্রশ্ন	১৩০



Гия Шалвович Каджая  
ПОПУЛЯЦИОННАЯ ЭКОЛОГИЯ ЖИВОТНЫХ  
(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета  
Тбилиси 1990